09/28

თვიური ჟურნალი

103/09
1901/2

„დიდება შენის ქვეყნისა
ივივ შენი დიდებაა“...

წელიწადი პირველი.

№ X

ოქტომბერი

თბილისი
სტამბა ეკ. ივ. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 28.
1901

შინაარსი № 10:

		გვერ.
1.	სურათი ქვათა-ხევის მონასტრის ღვთის მშობლის ხატისა.	923.
2.	მცხეთა და მისი ნაშთნი, სამი სურათით . .	925.
3.	ქვიშხეთის მთებში, ლექსი სილოვანისა . .	934.
4.	ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა, ინგილო ჯანაშვილისა. . . .	937.
5.	გურია, კ. გვაცრამაძისა.	946.
6.	პასუხი გ—ო-ს, მისივე	952.
7.	რუსუდან, ისტორიული დრამა, მოქმედება მესამე.	955.
8.	იანიჩარი, ისტორიული დრამა, დ. ნახუცრიშვილისა (დასასრული).	965.
9.	მოკლე ისტორია სომხეთისა, მ. ჩოგოგიძისა. .	998.
10.	სოლომონ ლეონიძე, ია მარუშიძისა. . .	1004.

— მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისთვის

ჟურნალ „მოგზაურზე“

გამოვა იმავე პროგრამით, ზედ-დამატებით წერილებისა: პედაგოგიდამ, მეურნეობა-მრეწველობიდამ, ჰიგიენა მკურნალობიდამ და სამეცნიერო კითხვებიდამ.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით: წლით—**ხუთი მანეთი**, ნახევარ წლით—**სამი მანეთი**. ფული და წერილები უნდა გამოგზავნოს: Въ Тифлисъ, Редакціи „Могзаури“.

ღვინობისთვე № 10 1901 წელი

მოგზაური

ისტორიულ-არქეოლოგიური და გეოგრაფიულ-ეტნოგრაფიული სურათებიანი ჟურნალი, გამოვა ყოველის თვის პირველს რიცხვებში.

წლიური ფასი ჟურნალ „მოგზაური"-სა გაგზავნით არის **5 მანეთი**.

ხელ-ს-მოწერა მიიღება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მაღაზიაში, ი. იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში და თვით რედაქტორთან, დავითის ვიწრო ქუჩაზედ. № 20. აქვე შეიძლება ნახვა რედაქტორისა ყოველ დღე შუადღის შემდეგ 4—7 საათამდე.

ადრესი; Тифлисъ, въ редакцію „Могзаури".
რედაქტორ-გამომცემელი **ივ. პ. როსტომაშვილი**.

თბილისი
სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 28.
1901

183339

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Сентября, 1901 года.

ქვითა-ხევის მონასტრის ღვთის-მშობლის ხატი.

მონასტერი ძევს კავთის-წყლის ხეობაში (გორის მაზრაში) და დაარსებულია დავით აღმაშენებლის-მიერ 1126 წელს. აქ დასტამბული დიდ-მშვენიერი ხატი ღვთის-მშობლისა, ეჭვი არ არის, აშენების დროს ეკუთვნის, ხოლო წარწერა მოგვითხრობს, რომ გაძარცული იგი ხელ-ახლად შევაჭედინე 1695 წელს დედოფალმა ხორეშანმაო (მეფე გიორგი XI-ის მეუღლემ).

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხეთა და მისი ნაშთნი.

მცხეთა!.. რომელს ქართველს არ აუჩქროლებს გულს მისი გაგონება, გახსენება... დაწყობილი ზღაპრულ მცხეთოსიდამ ვიდრე გმირ ვახტანგ გორგასლანამდე, ე. ი., მთელ ორი ათას წელზედ მეტი, მცხეთა იყო საქართველოს საე-



მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო და სასულიერო დედა-ქალაქი, ქვეყნის ყოველის ჭირ-ლხინის პირველი თავადი. მეხუთე საუკუნის დასასრულიდამ, ვახტანგ გორგასლანი აშენებს თბილისს და ჰხდის მას თავისს სატახტო ქალაქად, ხოლო მცხეთაში აშენებს სვეტი-ცხოველს, თორმეტთა მოციქულთა, დიდად ამკობს მას და სომს იქ კათალიკოზსა. ამ გვარად მცხეთა რჩება სატახტო ქალაქად მარტოოდენ ქვეყნის სულიერ მეფისა—კათალიკოსისა. მაგრამ, ვახტანგმა თუმცა მიატოვა იგი და მთელი თავისი ყურადღება ახალს სატახტო ქალაქს, თბილისს, მიაპყრო,—მცხეთას, მთელი 1300 წლის განმავლობაში, მაინც არ დაუკარგავს ჩვენთვის თავისი მნიშვნელობა. აიხსნება ეს, რასაკვირველია, ერთის მხრით, მისის ხანგრძლივის წარსულით, რომელმაც დიდი და წაუშლელი კვალი დასტოვა ხალხის მადლიანს მეხსიერებაში, და, მეორე, იმით, რომ ხალხის თვალში, კათალიკოსი იგივე მეფე იყო, თუმცა სულიერი, მაგრამ მისი თანასწორი. ამით აიხსნება ის მოვლენა ჩვენს ისტორიაში, რომ კათალიკოსებად ხშირად აღირჩევოდნენ სამეფო გვარის წევრნი. მცხეთის კათალიკოსს ემორჩილებოდა ზემო (სამცხე) და ქვემო ქართლი, კახეთი, იმერეთი, ოსეთი და შაქ-შირვანი. ჰყავდა თავისი ქვეშევრდომი ხალხი და მოხელენი, რომლებიც განაგებდნენ მისს სამეფოს (სამეფოში) და ჰკრეფდნენ ხარკსა, როგორც ხალხისგან, ისე ზოგიერთ მისთვის დანიშნულ საბაჟოებში. მას ეკუთვნოდა აგრეთვე ზოგიერთი თევზის საჭერი ადგილები მტკვარზე, ალაზანზე და სხვა მდინარეებზე. მას ჰყვანდა საკუთარი ჯარი, რომლის უმთავრესი სარდალი თვით კათალიკოსი იყო და თავისი სარდლებიც (გენერლები) ჰყვანდა. ომის დროს ამ ჯარს სარდლობდა ან თვით კათალიკოსი ან მისი ხელ-ქვეითი გენერალი (სარდალი). ასევე სარდლობდნენ თავ-თავისს ადგილის ჯარებს ადგილობრივი ეპისკოპოსნი და ზოგიერთ მონასტრების წინამძღვარნი. კათალიკოსისავე და საზოგადოთ სასულიერო წოდების ხელში იყო მის ქვეშევრდომთა სამართალი. ეს ცოტაა: მთელი და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარჩენი საქართველოც, რომელიც ქვეშევრდომი იყო მეფეთა და დიდებულებისა, თავისუფალი არ იყო კათალიკოსის გავლენისა და სამართლისაგან.

თქმა არ უნდა, რომ ასეთ პირობებში, მცხეთა მაინც არ დაჰკარგავდა თავისს მნიშვნელობას, თუმცა ულმობელი მტერი ხშირად ანადგურებდა მას.



მცხეთის სამთავროს ტაძარი
(დედათა მონასტერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახუშტი კი ტყუილად არ ამბობს: „არიან (მცხეთაში) შენობანი დიდნი, პალატნი დიდ-დიდნი, ხოლო აწ აღარა არს ქალაქი, არამედ დაბა; რამეთუ შემდგომად ყრუსა მოოხრდა. იტყვიან მძლავრობისათვის მაჰმადიანთა არღა-რა ჰყვეს ქალაქი, რათა არა მათ იჰყრან და შეიგინოს სიწმიდეო“.

ბევრი მწარე, მაგრამ ბევრი ბრწყინვალე დღეებიც უნახავს მცხეთას. 333 - 302 წლებში ქრ. შობამდე, მაგალითად, მან გამოსცადა მაკედონელთა მძლავრობა თავისს და საქართველოს ძეთა ზედა, მაგრამ 302 წელში, ნაცვლად მისა, იგი აღფრთოვანებული კარს უღებს ფარნაოზსა და ერთად დანარჩენ საქართველოსთან დღესასწაულობს და იშვებს თვისსა და ქვეყნის განთავისუფლებას უცხოელ მოძალადისაგან.

314 წლებში იგი კვლავ დღესასწაულობს თავისს და საქართველოს განთავისუფლებას საუკუნო სიბრმავიდგან და მთელის ერითურთ ნათელს იღებს არაგვისა და მტკვრის წმიდა ზვირთებში...

მშვენიერი ადგილ-მდებიარობაც აქვს მცხეთას. სამხრით მტკვარი, რკინის-გზის სადგური, არმაზის ციხე-ეკლესია და მთები, შემოსილი ტყით; აღმოსავლით—გიჟ-მაჟი არაგვი, ჯვარ-ზედაზნის მონასტრებით და მთები, აგრეთვე შემოსილი ტყით; ჩრდილოდამ—არდამ ერისთავის ბელტის ციხე და არაგვის მშვენიერი ხეობა კავკასიის თოვლიანის მთებით და დასავლით—მშვენიერი სააგარაკო ადგილები და გორები, აგრეთვე შემოსილი ტყით. ყველა ეს ერთ უკეთეს ადგილად ჰხდიან მცხეთას!.. ადგილი მცხეთისა, მართალია, პატარაა, მაგრამ რაც არის კარგი და კეკლუცია. სამწუხარო აქ მხოლოდ ის არის, რომ მას აკლია მზრუნველის ადამიანის ხელი, ბაღები, მწვანე, წყალი, თორემ მცხეთა რომ ამერიკელების ხელში იყოს, მასთან ამისთანა ხანგრძლივის, ხან დიდებულის და ხან შავ-ბნელის წარსულიო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მას ისინი (ამერიკელები) სულ მცირე ხანში ნამდვილ სამოთხედ აქცევდნენ! ან ჩვენ რაღა გვიშლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათებურათვე მოვიქცეთ, მცხეთას მცირეოდენი საზოგადო, მთელი საქართველოს, ყურადღება მივაპყრათ, და იგი დღევანდელს მის სატირელ მდგომარეობიდგან გამოვიყვანოთ! რა გვიშლის?! რა და შეუგნებლობა, უვიცობა, წარსულის ამაგის დავიწყება!.. აღვიჭურნეთ მეტის შეგნებით, ცოდნით, წარსულისდამი მეტის პატივის-ცემით და, მერწმუნეთ, რომ არც ჩვენ გაგვიძნელდება მცხეთის გამოკეთება, გამოღვიძება, გასუფთავება, თორემ, რომელს შეგნებულს ქართველს არ ეწყინება წამ-და-უწუმ ასეთი „სტრიქონები" უცხო ქვეყნელ მოგზაურთა: „მცხეთა – საქართველოს ყოფილი სატახტო ქალაქი, აწ ღარიბი სოფელი, მიწურებით, რომელშიაც მოსახლობს 150 კომლი ქართველი და სომეხი". სიტყვა-სიტყვით ასევეა იგი მოხსენებული სასკოლო გეოგრაფიულს წიგნებში და პატარაობიდგანვე ამ სიტყვებითვე აზეპირებინებენ მოზარდ თაობას.

დიახ, აუცილებლად საჭიროა მეტი ყურადღება მივაქციოთ მცხეთას და რითაც შეიძლებოდეს ვუშველოთ მას თვისს აღორძინებასა და განახლებაში. დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა, რუსეთთან ერთად, მარტოოდენ მის დიდებულის ტაძრის განახლებაზედ ფიქრობს და ზრუნავს, მაგრამ ყოველი ეს, რუსები რომ იტყვიან, „პალიატივა" (დროებითი საშუალება, დროებითი სიკეთე) არის. საჭირო იყო (და არის კიდეც), უფრო ღრმად და ფართოდ შეგვეხედნა საქმისათვის და მარტოოდენ სვეტის-ცხოვლის ტაძრის განახლებითა და აღორძინებით არ დავკმაყოფილებულიყავით, რადგანაც გაივლიან წლები და ტაძარს, მცხეთის ამ მდგომარეობაში, იგივე დღე დაადგება, რაც დღეს ადგია, ე. ი. მას კვლავ დასჭირდება ხელის გაშვერა!.. ეს-კი, გვგონია, ისრევე კარგი არ არის, როგორც მოგზაურთაგან და გეოგრაფიულ სახელმძღვანელოთა შემდგენელთაგან მოხსენებულის მსგავსად მცხეთის აბუჩად აგდება...

ნეტავი რას მიჰქარავსო, გაიფიქრებს ამ სტრიქონების მკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხველი: აქ ერთი ტაძარიც ვერ გაგვიახლებია და ეს-კი მთელი სოფლის განახლებას გვიქადაგებსო!.. დიაღაც რომ ამას ვქადაგებთ, მკითხველო, და გვერწმუნე, რომ ეს უფრო ადვილი, უფრო საფუძვლიანი და სამკვიდროც არის, ვიდრე მარტოოდენ ტაძრის განახლება! ადვილია იმიტომ, რომ მცხეთის განახლება უნდა დავამყაროთ მის თვითეულ მცხოვრების განახლება-აღორძინებაზე და არა სხვის საეჭვო შემწეობაზე. ეს კი სწორეთ ისეთი საქმეა, რომ თუ, მართლაც, ამას მოვახერხებთ, სვეტი-ცხოველიც, სამთავროც (რომელიც აგრეთვე ისრეთსავე განახლებას თხოულობს) და სხვა მრავალიც, რომელიც დღეს მცხეთას უჭირს, თავიანთივე საკუთარის ძალით და შეძლებით განახლდება და აღორძინდება ყოველი. ახლა, როგორ და რა გზით გამოვაფხიზლოთ, რა და რომელი საშუალებით გამოვიყვანოთ იგი მიწურიდამ ნათელზე, რომელის საშუალებით მცხეთელის საცხოვრებელი სახლი—სახლს დავამსგავსოთ, ტაძარი ტაძარს, ქუჩა ქუჩას, ხე ხეს, ბაღი ბაღს, სახნავი სახნავს და სხვა? ძლიერ ადვილად, მაგრამ ამაზედ შემდეგ იყოს, როცა ჩვენს აზრს მცხეთელებს და სხვათ პირადად განვუზიარებთ და მათს აზრს ჩვენსას შევუფარდებთ.

დღეს მცხეთას ამშვენებს ორი დიდი ტაძარი. ერთია სვეტის-ცხოველი და მეორეც—სამთავროს ტაძარი, რომლის ეზოში დღეს დედათა მონასტერი და სკოლაა გამართული. სვეტის-ცხოველის ტაძარი პირველად ხისა იყო. იგი ააშენა მირიან მეფემ (265—342 წწ.). მეხუთე საუკუნეში ვახტანგ გორგასლანმა იგი მოშალა და ააგო ვრცელი და დიდებული ქვის ტაძარი, მაგრამ მეთოთხმეტე საუკუნეში იგი თითქმის მთლად დაანგრია განძვინებულმა თემურ-ლენგმა და იაკარ ჰყო ყველაფერი, რაც-კი დაცული იყო ტაძრის კედლებსა და სამალავებში, თვით სამარეებშიაც-კი. მეფე ალექსანდრე პირველმა, მეთუთხმეტე საუკუნეში, ითავა მისი აღდგენა და დღეს რასაც ვხედავთ, ალექსანდრე მეფის დროს აშენებული ტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძარია, ხოლო მეჩვიდმეტე საუკუნეში, გუმბათი მისი ჩამოიქცა და იგი განაახლა მეფე როსტომმა და მისმა მეუღლემ მარიამმა. ამის შესახებ გუმბათზე დღევანდლამდინ წარწერაც არის დარჩენილი.

გუმბათის ფასადი.

სამთავროს ტაძარიც მირიან მეფემ ააშენა და იქვე დაიმარხა. ვახტანგ გორგასლანმა დასო აქ ეპისკოპოსი, მღვდელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი ქართლისა, რისგანაც მიიღო, ვგონებთ, ტაძარმა თავისი სახელი. სამთავროს მთავარ-ეპისკოპოსებს ეკავათ მეოთხე ადგილი, მეფის დაგვირგვინების დროს: პირველი ადგილი ეკავა მცხეთის კათალიკოსს, მეორე მთავარ-ეპისკოპოსს ჭყონდიდისას ანუ მარტვილისას, მესამე აწყურისას ანუ სამცხისას და მეოთხე—სამთავროს მთავარ ეპისკოპოსს. მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძრის დღეობა იცის პირველ ღვინობისთვეს, როდესაც აქ დიდ-ძალი ხალხი იკრიბება ქალაქიდამ და გარეშემო სოფლებიდამ.

ბატონიშვილი ვახუშტი ასე აგვიწერს მცხეთას:

„ხოლო მცხეთა არს ორს მდინარეს შორის: სამხრით უდის მტკვარი, აღმოსავლით არაგვი, და მუნ შეკრბებიან. აღაშენა მცხეთოს, ძემან ქართლოსისამან, და უწოდა სახელითა თვისითა. შემდგომად იქმნა ქალაქი დიდი, რომელსა უწოდებდნენ დედა ქალაქსა. მერმე მოზღუდა არდამ ერისთავმან სპარსთამან. მუნვე აღაშენა ხიდსა ზედა ციხე და ჩრდილოთ ციხე. კვალად არმაზიდამ წარმოზღუდა მტკვრადმდე, ამის გამო ისწავლეს ქართველთა ქვიტკირი, და იმყოფვოდა ქალაქსა ამას შინა უხუცესი ყოველთა საქართველოსი, და მორჩილებდნენ ამას. შემდგომად აზონ მოარღვია ზღუდე, პირველ მეფემან ფარნაოზ კვალად მოზღუდა, და მეფენი ჟამითი-ჟამად ამაგრებდნენ. ხოლო მირიან აღაშენა ეკლესია მოციქულთა, ხისა, სამოთხესა (ბაღსა) შინა თვისსა, სადაც არს კვართი უფლისა, რომელი მოიღო ელიოზ, და ხალენი ელიასი. და 26 მეფემან მირდატ აღაშენა მონაკვეთსა სვეტისასა გარემო ქვიტკირის სვეტი, და ამისგან ეწოდა „სვეტი-ცხოველი“ ეკლესიასა ამას, და აღმართა მას ზედა ჯვარი, რომელსა სდიოდა **მარანა სამკურნალო**, და აწ უწოდებენ **სამარანასა**. და ჩრდილოთ ამისა მირიანვე აღაშენა ეკლესია მაცხოვრისა ღვთაებისა—სამთავრო, ქვიტკირისა, გუნბათიანი, დიდ-შვენიერი, და დაეფლა მირიან მუნ და 43 მეფე მირ. ამას შინა დასვა გორგასალ ეპისკოპოზი, და

აწცა ზის მთავარ-ეპისკოპოზი, მწყემსი რეხულას ზეითი დიდლიახვამდე. ვახტანგ გორგასლანმა აღაშენა მცხეთა ქვიტკირითა და შეამკო დიდად. მანვე დასვა კათალიკოზი. შემდგომად ძვრით დარღვეული აღაშენა 71 მეფემან გიორგიმ, მერმე შემუსრა ლანგ-თემურ, აღაშენა 76 მეფემან ალექსანდრემ. არს სიგრძით... ადლი, და განით... ფრიად მაღალი. შემდგომად შთამოვარდა გუმბათი, მოაშენა 89 მეფემან როსტომ. 94 მეფემან ვახტანგ შეამკო კარი სამირონესი ოქროთა, მინითა და ვერცხლითა, და ჰყო მოფენილ მოფარდაგულ ზეზით კეთილითა. დაფლულ არიან მეფენი გორგასალ, დავით ლაშას ძე, დიმიტრი თავ-დადებული, დიდი ლუარსაბ, სვიმონ და გიორგი (აწცა ეფლვიან, არამედ უშვერ არს). აქავ 31 მეფემან არჩილ აღაშენა ეკლესია სტეფან-წმიდისა, აღმოსვლით, არაგვის კარსა ზედა. ყოფილან ეკლესიანი მრავალნი, არამედ შემუსვრილნი არიან. არიან შენობანი დიდნი, პალატნი დიდ-დიდნი, ხოლო აწ აღარა არს ქალაქი, არამედ დაბა, რამეთუ შემდგომად ყრუსა მოოხრდა. (იტყვიან მძლავრებისათვის მაჰმადიანთა არღა-რა ჰყვეს ქალაქი, რათა არა მათ იპყრან და შეიგინოს სიწმიდე). ხოლო არს ზამთარს ცივი, ქარიანი, ზაფხულს ცხელი, არამედ ჰავით მშვენი, მთებთა შორის მდგომი, რამეთუ აღმოსავლით აქვს მთა ჯვარ-ზედაძნისა, დასავლით მთა სარკინეთისა, სამხრით მთა ქართლისა და კარხნისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვიშხეთის მთებში

—

მთის წვერზე ვდგავარ. ჩემი სისწრაფით
სქელი დრუბლების მოჩანს კუნდები,
და ჩემს კარშემო — მთების მწვერვალნი,
შავთ მოსილი სულ მთები, მთები.

—

მთა მთასა მისდევს, მთა მთას აწვება,
კიდით კიდემდი ძლივს ეტევიან,
ულოგავდაჭდობით, დედაშვილურათ,
დაძმურათ ურთერთს გადახვევიან.

—

სძინავს დედა მთას შუა გაწოლილს,
ალვა დრუბლებში აუწევია, —
ეს ბაწა მთები, ვით დედას შვილნი,
კარშემო ტანზე შემოსვია...

—

ძინავთ, — ზეთხულის გრილი ნიავი
ტკბილსა ნანინას ეხურჩულება...
არარა არდგევს მათ მუდრობას,
დამტკბარი არის მთელი ბუნება.

—

მძინარე მთების კალთებს და ფერხთა
ეამბორება ალერსით მტკვარი —
და ჭაერისა ტიკარ ნანინას
მისი დუდუნი ერთვის დამტკბარი:

—

„თვალთმაქცო მთებო,
გასაოცებო!
ძალი ნებისა და მოსვენება!
მიეკვრხართ გულით...
სახით ზღაპრულით
ვის არ მოხიბლავს თქვენი შვენება!..
მოგიძღვნით სალამს—
უხვ ცვარსა და ნამს:
გულზე იპკურეთ სასიყვარულოთ—
და გაიხარეთ
თქვენთა მოყვარეთ
სულის სატკბობათ, სასიხარულოთ!..“

*
* *

ამოდის მთვარე. მთების თვალწარმტაც
სახეს და გულმკერდს შეშტერებია.
სდუმებს ფერმკრთალი: ჩანს—მათი ტრფობით
გულისა ცემა შეჩერებია.

—

რა ვერ გაუძლო მხიბლავ შვენებას,
მთვარე შორდება ნელნელა მთებსა—
და რომ იხილავს მტკვარს მოდუდუნეს,
თვალს გააყოლებს იმის ზვირთებსა.

—

მტკვარი შესტქერის ცისა მნათობსა,
დიდხანს შეჭყურებს ჩაფიქრებული...
ბოლოს შეკითხავს ნადვლიანი ხმით,
თან სევდიანი უტოკავს გული:

—

გაკაჭრილ ხასუხს აძლევს მას მთვარე,
ვითა დინჯ მსაჯულს შეეფერება:
„ბრძოლითა, ომით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთელის დვრით, შრომით
მოიპოვება ბედნიერება!“

—

მეტი ნოგეში არ ესმის მტკვარსა,—
დრუბლებში შედის გულწყლული მოვარე...
სძინავს კვლავ მთებსა, სძინავს სოფლებსა...
დადუმებულა მთლათ არემარე.

—

სდუმებს მთაწმინდაც, სადვთო სავანე,
აწ დანგრეული, დამიწებული:
დასტქერის სოფლებს, ვით უცხო მხარეს,
გულჩათუთქული, დავინყებული *).

—

მხოლოდ და მტკვარი ჭალებისაკენ
მიიზლაზნება მრავალწყლიანი,—
მთა-ბარს ბურანში ესმის დუღუნი
მისი ხან ტკბილი, ხან ნაღვლიანი.

სილოვანი.

სოფ. ქვიშხეთი.
1901 წ. შუა ივლისს.

---

*) სოფელ ქვიშხეთს დასავლეთის მხრით დაჰყურებს მთა, რომლის მწვერვალზედაც სდგას ქვით აშენებული პაწია, მეტათ დაბალი სამლოცველო. მე თვითონ დავათვალიერე ის მდგომარე წლის 11 ივლისს. ორი-სამი კაცი ძლივს მოთავსდება შიგ და დამდგარი კაცის თავი ჭერსა სწვდება. შიგნით ასვენია რამდენიმე ხატი და აწყვია ცრუმორწმუნეთაგან შენაწირავი ნალების ნამტვრევები. ხალხი ამბობს, რომ აქ ცხოვრობდა და ლოცულობდა წმ. გიორგიო. ეს ადგილი წმინდა ადგილათ მიაჩნიათ და ხშირათ დადიან იქ სალოცავათ; ამ მთას მთაწმინდა ეწოდება. ამ ჟამათ სამლოცველო და მისი არემარე წარმოადგენს მიყრუებულს, გავერანებულს ადგილს. ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ, რომ განზრახვა გვაქვს—მალე იქ რიგიანი ეკლესია ავაშენოთო.

ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

58 50

ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა

ჰერეთისა

(შემდეგი *)

ს. მაწეხის აღმოსავლეთ მხარეს, მაწეხისავე ხეობაში, მდებარებს სოფ. კატეხი. ამათ ორივეს აცალკევებს მხოლოდ ერთი ნარე მაწეხი, რომელიც უდურად ნიშნავს „წმიდა წყალი". კატეხი საეკლესიო ისტორიაში შესანიშნავია. მცხეთის ეკლესიას აქ ჰქონია მრავალი მამულები და შესანიშნავი „ეკლესია კატეხისა." ის ყოფილა აშენებული 697 წლის უწინარეს, მაგრამ ვისგან, არ არის გამორკვეული. ვეჭობ ყოფილა აშენებული არჩილ მოწამისაგან და მასვე შეუწირავს მისთვის მამულები და მცხეთის საკუთრებად დაუწერია. მით უფრო უმეტეს მის მიერ ამ ეკლესიის აღშენება საფიქრებელია, რომ მან აღაშენა ეკლესიები ლაგოდახში და კაკშიაც და მცხეთას დაუმტკიცა მათი კუთვნილი მიწებისაგან შემოსავალი, როგორც ვნახავთ ქვემოთ. მაგრამ 697 წელის ალი ამირი (არაბი) შემოესია ამ მხარეს, „და შემოსავალნი, რომელნი ჰქონდა წმიდასა ამას დედა-ქალაქსა (მცხეთას): ცხვარი, ცხენი, ღვინო, ზედაშენი და რაცა იყო, ყოველივე მან (ალი ამირმა) ამოაგდო და ახადა ამას წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა" (იხ. ქართ.—ცხოვ. გვ. 222). ამ დროიდგან კატეხის ეკლესიაც აოხრებული იყო, მაგრამ 1040 წელს მელქისედეკ კათალიკოსმა ყველა მინგრეულ-მონგრეული ეკლესიები განაახლა და სთხოვა მეფე ბაგრატ მე-IV-ს დაემტკიცებინა ისი-

*) იხ. „მოგზაური" №№ 8 და 9.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი მცხეთის კათოლიკე ეკლესიის საკუთრებად. ისა სწერს: „მოვიგე ჰერეთს მონასტერი დიდითა ძალითა, და ლაგოდახი, და ჰერეთსავე **კატეხისა** ეკლესია, შესავლითა მისითა, და კაკს ათ-ორ-მეტი ვაჭარი, რომელნი ძველად ჰქონდა სვეტიცხოველსა“ (იხ. ქორ. ქრონ. ნაწ. 1, გვ. 185 და ქ—ცხოვ. გვ. 222).

ძალიან ვსწუხვარ, რომ არ ვიცი, რა ალაგას ყოფილა კატეხში მელქისედეკის ეკლესია; ვგონებ ახლა მისი ნატამალიც აღარ არის. შოსეს გზის პირას, იქვე სოფლის ბოლოს, ერთს ტყით დაბურულს კვერნაკზე, არის ერთი ძველებური შენობა. გზიდამ რომ უყურებ, დიდ მშვენიერ შენობად გეჩვენება. 1883 წელს ავედი კვერნაკზე მის სანახავად და დამხვდა პატარა დანგრეული შენობა სალაროებით. ეტყობა ის ყოფილა ამა ქვეყნისა დიდებულთა სასახლე. შიგ სოფელშიაც არსად უჩვენებენ ლეკები ეკლესიას. 1895 წ. ერთმა კატეხელმა, მილიციის აფიცერმა (ლეკმა), მიამბო, რომ კატეხში ერთ ალაგას, დანგრეულ ეკლესიის ქვეშ, მიწაში, მრავლად არის სენაკებიო და კედლებზე სურათებია დახატულიო: ლეკები მას არ უჩვენებენ არავის, მაგრამ შენ მოდი როდისმე ჩემთან და მე გიჩვენებო. ძლიერ მსურდა ნახვა, მაგრამ მტერთა ჩემთა, სულიერთა მამათა, არ მომაცალეს და ვსწუხვარ, რომ მე ის ვერა ვნახე. ვგონებ ეს უნდა ყოფილ-იყოს **კატეხის** ეკლესია *).

ამავე სოფლის თავში, ხეობის ერთა სერზე უჩვენებენ კატეხის ლეკები მთას, რომელსაც ისინი ეძახიან „მისილ დაღ“—ოქროს მთა. უძველეს დროს ქართველთა მეფეებს აქ ზარაფხანა ჰქონიათო, ამბობენ ისინი. საფიქრებელიც არის, რომ ეს გადმოცემა სიმართლეს არ იყოს მოკლებული, ამისათვის რომ ამ მთაზე ყორე-ყორე ხევში ჰყრია ჯანგარო და

---

*) ამასვე ამტკიცებს ლ. გალაქოვი, მასწავლებელი სათავად-აზნაურო შკოლისა, იმ დამატებით, რომ აქ ყოფილა ქალაქი, რომელსაც რქმევია „ესკი-ბაზარი.“

ეტყობა შენობათა ნანგრევებიცა. უეჭველია აქ ყოფილა ერთ დროს მოსახლეობაცა. ხალხი ამბობს, ოდესღაც მეფენიც სცხოვრებდნენ აქა და ერქო ამ ადგილს სიღნაღირ.

კატეხი აწ ავარელ ლეკების სოფელია. იქ ქართველები სრულიად აღარ არიან. რიცხვი მცხოვრებლებისა აღემატება 2457 სულს.

სოფ. კატეხიდგან რომ წავიდეთ აღმოსავლეთისაკენ, მივალთ სოფ. ჭარს და ქ. ზაქათალას. ზაქათალა პატარა სამაზრო ქალაქია. მცხოვრებლები არიან ქართველები, რუსები და სომხები. უკანასკნელნი ვაჭრობენ. მისი მდებარება არ არის კარგი. დაშენებულია დაბლა ხევში, თითქმის რიყეზე. ხოლო ციხე მაღლობზეა აგებული, სოფლის ჭარის შუაგულში, რისგამო სოფ. ჭარი ორად არის გაყოფილი. იგი ბევრად ჰსჯობია კატეხსაც, მაწეხსაც და სხვა სოფლებსაც, ბელაქნის გარდა, ხეხილითა, მცენარეთა სიმდიდრით, კალმახით და სიმაგრით. იგი აკრავს კავკასიის მთას ძირში. მცხოვრებლები ავარიის ლეკები არიან. რიცხვი მათი=2000 სულს. ეი რას მოუთხრობს ისტორია იმათ აქ დასახლების მიზეზად 1558 წელს კახეთის მეფის ლეონისაგან. „ჟამსა ლევანისასა, —მოუთხრობს ქართველთ მემატიანე,—მოუხდა ვინმე ლეკი დაღისტნისა გალმა მხარს და წარიყვანა ძროხა ერთი. ეს ამბავი შეიტყო მეფე ლეონმა. შემოიკრიბა ჯარები გალმამხრისა, გაიყოლა ეტიკი, ვლო დღე და ღამე, მიუხდა სოფელს მალვით, შეიპყრო სახლში ლეკი ცოლშვილიანათ და ყველანი დახოცა; მერმე აჰყარა მთლად იმ სოფელში მცხოვრები ლეკები, მოიყვანა თან, დაასახლა ფიფინეთში და დაავალა ყინულის ზიდვა ზაფხულობით დაღისტნიდამ, რომელთაგან შეუდგა ბოროტი ქვემორე თქმულნი“ (იხ. II ნაწ. ქ—ცხოვ. გვ. 108).

თუ მეფე ლეონმა ლეკები დაასახლა ფიფინეთში, მაშ მათ სოფელს „ჭარს“ რად ეძახიანო?, იკითხავთ. ამის მიზეზი არავინ იცის. მაგრამ ჩვენ გვგონია, ასრე უწოდებიათ, ამ ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად დასახლებულ ლეკთა სოფლისათვის იმ მიზეზით, რომ აქ შეყრილა მრავალჯერ „ჯარი“ ლეკთა და შეჰსევია კახეთს. ასრე მომხდარა ერთხელ, ორჯელ და მრავალ ჯერ და ამისთვის დასჩემებია ქართველთაგან სოფელს სახელი „ჯარი“, მაგრამ ლეკებს თავიანთ ენის კანონების მოთხოვნილებისამებრ შეუცვლიათ ასო ჯ ასოდ ჭ, და სოფელს დასდებია სახელად „ჭარი“. თუ ასე არ იყო, მაშ ვითარ წარმოსდგა ის? ნუთუ იმას კავშირი აქვს ჭარ-თალეთთან? ნუთუ ლეონ მეფის-მიერ გადმოსახლებულნი იყვნენ ჭარ-თალეთელნი, და იმათაც უწოდეს ფიფინეთს „თალა“, ხოლო თავიანთ ახალ ბინას „ჭარი“? ასეა თუ სხვა ფრივ, დღეს უეჭველია, რომ ფიფინეთს ჰქვიან „თალა“, რომელიც ჭარისაგან გაცალკევებულია მხოლოდ მდინარით. ამ მდინარის კიდეზე, დასავლეთ მხარეს, არის ვახუშტის „წინ-უბანი“, რომელსაც ლეკნი უწოდებენ „წილ-უბან“, და აწ ეკუთვნის ჭარს.

ლეონ მეფისაგან ჭარში დასახლებულნი ლეკნი ყურმოჭრილ ყმასავით ემსახურებოდნენ კახეთის მეფეებს 1558—1683 წლამდე. იმათ ხარკად და ბეგრად ედვათ მხოლოდ ყინულის ზიდვა კავკასიიდამ. 1674 წელს კახეთის მეფეს არჩილს სოფელს ლილოში თავისი ძმის ლუარსაბის ქორწილი ჰქონდა; მუნ მოუტანეს ყინული ჭარელებმა ცხენებითა. ეწყინა მეფეს, რატომ ზურგზე არ აიკიდეს ჩვეულებისამებრ და ისე არ მოიტანესო; როგორ გაბედეს, რომ მათ დაარღვიეს განწესებული კანონიო. „შეიპყრა და სტანჯა ისინი: აღკიდა კვალად ზურგზე ტვირთად და მოატანინა კვალად მუნიდამაცა ტვირთითავე ყინული“ (იხ. ქ—ცხვ. გვ. 127). ამ დრომდე ჭარელი ლეკები იყვნენ წყნარად, მორჩილებდნენ მეფეთა და ემსახურებოდნენ მათ, რადგან ბელაქანი, მაწეხი, კატეხი, ფიფინეთი, ბაზარი, ფერჯაანი, მუხახი, მამრეხი, გულგულა და სხვანი ჯერ კიდევ ქართველთ ეპირათ და მათში სდუღდა ქართველთა ცხოვრება. მარტო ტოკავდნენ, ფეთქავდნენ და ჩუჩუნებდნენ წუქეთის სულთანი, ჭურმუხელნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ულუკუსუ რი. მაგრამ საქართველო იმოდენად კიდევ ძლიერი იყო, რომ ლეკები ბარში ჩამოსახლებას ვერ ბედავდნენ. 1628 წელს მეფე თეიმურაზ პირველმა „მოიხსენა შური წუქეთისა სულთნისა, რამეთუ ოდეს აღჰყარა შაბაზმა კახეთი, მან უბოროტესნი უყო კახთა. მან გაგზავნა ზურაბ ერისთავი, იგი წარვიდა, გაიარა კაკი, ილისოს ხეობა, მივიდა და თავს დაეცა უგრძნეულად წუქეთის სულთან ალიბეგს სოფ. სარუბაშში“. აი რასა სწერს მეფე არჩილი 1674 წელს შესახებ ამ ომისა და თეიმურაზისა: თეიმურაზი ამბობს:

„გამიწყრა ოდეს ყეენი, მოჰყვა წუქეთს *) ვინა ზისა,
ალიბეგ სახელდებული, პატრონი სარუბაშისა,
მისი მომინდა პასუხი, ჩვენება ჩემის რაზმისა,
მალ შევანანე სიკვდილით, მოყოლა შაბაზისა.

ზურაბ, კახნი და ქართველნი, მათსა ლაშქარზე წავყარე.
ევლოთ, მისლოდენ სარუბაშს, მას შეუტყობრად მყოფარსა,
ველარ გაუსწრო წახურსა, გარ ჯებირს შემოიფარსა,
ქვეითად შეუხდებიან, აგლეჯენ ხმალსა და ფარსა.

ზურაბ ცხენით გარდაუხდა, შეუძახა სულ ლაშქართა:
გარდმოხედით ყველა ცხენით, ვინ ბძანებით აქა ხართა,
ვინღა მიხვალთ მეფესთანა, ან თავს ნახავთ განახართა,
ვძლეთ ომითა, ვერ დაგვიდგენ ხმალ მოწვდილთა დანაფართა.

ამ სარდლობით მალ აეღოთ ჯებირი და სიმაგრე.
თავი მოსჭრეს ალიბეგსა, შეუძახეს: „იდევ აგრე“.
რით გმართებდა, შექნილიყავ შენ შაჰაბაზის მოსაგრე, **)
სარუბაში ვერ დაგვიდგა, წა, წახური გაამაგრე.“

ზურაბის ლაშქრობის შემდეგ ახლა თვით მეფე თეიმურაზმა გაილაშქრა დაღესტანზე. „მიუხდა თეიმურაზ ულუკო-

---

*) ამ სტრიქონებიდამ სჩანს, რომ წუქეთი ერქო მთლად იმ მიწა-წყალს, იმ სამფლობელოებს, რომელნიც იყვნენ მაწეხის კედლის შიგნით, კავკასიის მთებში, დაღისტნის მხარეს და მას ეკუთვნოდა აგრეთვე სოფლები სარუბაში და წახური.

**) (იხ. არჩილიანი, გვ. 118—119).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სორს, რამეთუ იგინი უხდებოდნენ, აოხრებდნენ და სტყვენ-ვიდნენ, მოსწყვიტნა, მოსტყვევნნა, მოაოხრა და მოვიდა გამარჯვებული" *).

აი ამ დროს, როცა დალისტნის მხარეს მცხოვრებნი ლეკნი ეკირთებოდნენ კახეთს და იკლებდნენ გალმა-მხარს, ჭარელი ლეკები ჯერ არ იძროდნენ, რადგან ეშინოდათ მეფეთაგან, თუმცა შაჰაბაზმა 1616 წელს აოხრა კახეთი, გადაასახლა სპარსეთს 100000 ქართველი და მათს ალაგას დაასაალა მუსულმანები. თეიმურაზი იკვეხის არჩილიანში: „ზამთარი შემოვისწრით თოლასა (მაჭის ხეობაში) და ბოეთანსა, შამუსა (სამურსა?) და ლანუხშიდა (აწ „ბაშ-გოინუქ" ნუხის მაზრაში)... მაშინ მე რას ვახსენებდი (ყარალაჯში მსხდომარეთ) და სულთანსა" (წუქეთისასა?). (იხ. არჩილიანი, გვ. 61). ამ ხანებში ჭარელები ჯერ კიდევ კახეთის მეფეებს ემსახურებოდნენ. მერმე ვნახავთ, როცა ისინი გაძლიერდნენ.

ამ ჟამად ჭარი განიყოფება სამ ნაწილად: თვით ჭარი, გოგანი და დიდა ჭარი. მას შუაზე ჰყოფს ზაქათალის ციხე რუსთა, აშენებული 1830 წელს. ის არის დარაჯი ოლქისა.

ახლანდელი ჭარელები მეტის-მეტად ამაყნი, ვაჟკაცნი, უნდო, თავმომწონე, შემმართებელი, კადნიერი, თავისუფლების მოყვარე და დინ-თასლიბის გამწევი (ფანატიკოსნი საარწმუნოებაში) არიან. ყველანი ბეგობენ. ეჯავრებათ ქრისტიანები. ეჭვით უყურებენ მთავრობის ყოველ გვარ განკარგულებას. მზად არიან ყოველს მარჯვე დროს აღელდნენ. ამისა გამო დღემდე არ არის შემოღებული სამოქალაქო გამგეობა ოლქაში, და ის არის სამხედრო ოლქა. მათი შეკაზმულობა არის ხანჯალი, დამბაჩა, ხმალი, ჩერკეზკა ბუზმენტიანი. უყვართ სუფთა ტანსაცმელი, მედიდურობა, რისა გამო ამაყად იცქირებიან და კაცად არ აგდებენ სხვას. ცხოვრება არა აქვთ მდიდრული, რადგან ეჯავრებათ მუშაობა და-

*) (იხ. ქარ—ცხოვ. გვ. 121).

ეთაკილებათ. სირცხვილად მიაჩნიათ ხვნა-თესვა. სცხოვრებენ იმ ღალით, რომელსაც დამონებულნი ბარის ინგილოები და თათრები აძლევენ. იმათ მოხარკენი არიან ალიაბათის საბოქაულოს მცხოვრებნი თათარნი და ინგილონი. იმათ დაუმონავებიათ ისინი მე XVIII საუკუნის დამლევს და ელისენის მიწა-წყალი თავის საკუთრებათ აღუარებიათ, და ვინც დღეს ელისენში (ალიაბათის საბოქაულოში) მცხოვრებნი არიან, ყველანი აძლევენ ჭარელებს მიწის ღალას.

სოფ. ჭარში აწ სცხოვრებს 2000 კომლი. ისინი ყველანი ლეკები არიან შთამომავლობით. მათში ურევიან ცოტაოდენი გალეკებულნი ქართველნიც. მათი ვინაობა გამოაშკარავდა 1867 წელს, როცა „ბეგთა კომისია“ განარჩევდა ბეგებსა და გლეხებს. მაშინ ჭარელებმა გამოაჩინეს გუჯრები ქართულს ენაზე, რომლებითაც ამტკიცებდნენ თავიანთ გვარეულობის კეთილშობილებას. მათ შორის აღმოჩდნენ ერისთავნი, ვაჩნაძენი, კამაზაშვილები, ანდრონიკაანი და სხვ. ერთს თავადიშვილს, როგორც მითხრეს ჭრელებმა 1893 წელს, ზარაფხანაც კი გაუმართავს ჭარში, და უჭრია ქართული ფული. ამ კაცს დიდი სამსახური გაუწევია ჭარელთათვის და იმათაც ისეთ პატივისცემაში ჰყოლიათ ის, რომ სიკვდილის შემდეგ შეიხად (წმინდანად) შეურაცხავთ. ის ასაფლავია თურმე ჭარშივე და დღესაც ლოცულობენ ლეკნი. მის სიკვდილის შემდეგ ზარაფხანაც გაუქმებიათ და ამბობენ ყალიბები დღემდე დამალული აქვთო.

ჭარის მახლობელი სოფელი არის თალა. მისი წინუბანი (წილბან) შეერთებულია ჭართან. ამ ჟამად ეს ორი სოფელი გაყოფილია მხოლოდ მდინარით, რომელსაც უწოდებენ „თალა-ჩაჲ“. თალის ზემოთ, აწ სახნავ-სათესი მინდორია, კავკასიის მთაზე აკრული. ამ მინდორს ეძახიან ლეკები „ფიფან“, რომელიც არის ვახუშტის „ფიფინეთი“. აქ ყოფილა დიდი სოფელი ქართველთა, შემკობილი ეკლესიებითა. ერთი მათგანი არის კავკასიის მთის სუკზე. ის ყოფილა მონასტერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი აწ დარღვეულია. ლეკებს ბევრი უთხრიათ მისი ეზო და უძებნიათ ხაზინა. ეკლესიის კარები წინ თხრის დროს, როგორც მოწმობს სომეხი ყარაქეშიშოვი, აღმოუჩენიათ აკლდამა, რომელშიაც თურმე იპოვეს ოქროს ჯვარი, ორ მტკავლის სიგრძე. ზედ ჰქონია წარწერანიც. ლეკებს დაუმტვრევიათ და გაუყვიათ ურთიერთ შორის. ფიფინეთის ხევში არის მეორე ეკლესია, სიგრძით 16 არშინი, სიგანით 9. ეტყობა ყოფილა საკრებულო ეკლესია. იგი კარგად შენახულა. ის უგუმბათოა. მდებიარება აქვს მშვენიერი. არ უნდა იყოს დიდი ხანი, რაც ის უპატრონოდ დარჩენილა. შესანიშნავია, რომ ამ ეკლესიას იატაკს ქვეშ აქვს ორი ოთახი. იგინი გაყოფილნი არიან ქვიტკირის კედლით, რომელზედაც გადატანილია თაღი და მერე ეკლესიის იატაკია გაკეთებული. ამ იატაკს აქვს ჩასასვლელი, მრგვლად ამოჭრილი ხვრელი. ეხლა ის ამომტვრეულია და ახდილი. ორივე ოთახში ჰყრია დამტვრეული ძეგლები. ვფიქრობ დასაფლავებულნი ყოფილან დიდებულნი პირნი და აგრეთვე მუნ ინახებოდა ეკლესიის განძეულობა. ლეკები ამბობენ: როცა ქართველთა სასულიერო წოდება აქედგან წასულა *) ამ ეკლესიაში დაუტოვებიათ მხოლოდ მნათე, სახელად ზაქარია. როცა ლეკობა გაძლიერებულა და მას დაჰკარგვია იმედი ქართველთა აქ დაბრუნებისა, განძი ეკლესიისა მას გაუყიდნია, ხოლო ძვირფასი შესამოსლები გადაუდვნია, უკეთებია ბუზმენტები და მით უვაჭრნია ჭარ-თალალებთან. მისგან შეუსწავლიათ მათ ბუზმენტის ხმარება. მასვე ჰბარებია აგრეთვე საეკლესიო მამულებიცა, რისა გამო, რუსებს რომ დაუპყრიათ ჭარი და თალა და უკითხავთ ვისია ეს მიწა-წყალიო, ჭარელებს და თალალელებს უპასუხნიათ: „ზაქარიასიო“. აქედგან წარმომდგარა სახელწოდება „ზაქართალა“.

*) იმავე ლევან გალაკოვმა მითხრა, რომ აქაური მღვდლის ჩამამავალნი მაწეხში სცხოვრობენო, თავიანთ ქართველობას თვითონაც არა ჰმალავენო და მოლადაც ამ სოფლის მეჩითში ისინი არიანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის კიდევ მესამე ეკლესია ფიფინეთში. ის ჯვარედინათ არის აშენებული. აწ დანგრეულია და არც რაიმე წარწერა მოიპოვება.

ფიფინეთს იხსენიებს თავის გეოგრაფიაში ვახუშტიცა. იგივე იხსენიებს სოფლებს: კაკს, ჭარს, ბელაქანს და მაჭის, ხოლო ოლქის სხვა სოფლებს ყურადღებას არ აქცევს. აქედგან ცხადია, რომ ფიფინეთი შესანიშნავი ალაგი ყოფილა. ასრე რომ არ იყოს, მას არ მიაქცევდა ყურადღებას 1310 წელს მთავარ-ეპისკოპოსი კაკ-ელისენ-გიშისა კირილე დონაურიცა (ვაჩნაძე). ის სწერს: კათალიკოს პატრიარქმა ეფთვიმემ ნახა „მაჭ-ფიფინეთის ეკლესიებიო“. (იხ. ისტ. ჯანაშვილისა, გვ. 206, 1894 წ.).

აწ ფიფინეთში ანუ თალაში სცხოვრობს 6303 სული, ავარელი ლეკი და თათარი. ურევიან გალეკებულნი ქართველნიც.

ინგილო ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება).

გ უ რ ი ა *)

(დასასრული)

გურული ლექსიკონი

(აქ მოგვყავს ის სიტყვები, რომლებიც ჩვენს წერილშია ნახმარი და ლიტერატურაში კი უხმარია).

ათინური — ეურძენია.
აპუტრაკი — მტენარეა.
ალექმალექის ბალი — ბალის გვარი.
ამორეკა — ამორეკვა.
ანწლი — მტ.
ალაზანი — სიმინდის გვარია.

—

ბაბილო — ვაზის ფოთოლი.
ბადაგი — ეურძენია.
ბარამულაი — დომის გვარია.
ბარდი — მტ.
ბარძაყაი — მტ. (მაყვალი).
ბალურა — მეურ. (ბედურა).
ბაძგარი — ხეა.
ბალჩა — ბოსტანი.
ბალჩეული — ბოსტნეული.
ბებერა — სოკოს გვარია.
ბია ვაშლი — ვაშლის გვ.
ბია მსხალი — მსხლის გვ.
ბორბალა — ობობა, ობობას ქსელი.
ბეოლი — თუთა.
ბურჩხი — მტ.
ბურძგატულაი — მტ.
ბულულვაი — მტ.

—

გადაზელილი — გადაზელილი ეველი.
გაიდონა — ბულბული (მეურ.)
გაკაკლა — თითო მარცვლობით გაფენა.
გასანახი — გემოს გასაშინჯი, მარილათ და სხ.
გაფიცხება — გაცივება, გახუხვა ცეცხლზე.
გაწყობა — დომის გახურება, გახმობა ცეცხლზე.

*) იხ. „მოგზაური“ № 7, გვ. 750.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამეჩხრება—გათხელება.
გემის ვაშლი—ვაშლის გვარი.
გველის სოკო—სოკოს გვარია, შხამიანია.
გიდელი—ხეზე ხიდის საკრები კალათა.
გობი—ვარცლი.
გომბიე—ბაყაყი.
გორიცა—გოდორი.
გულშიშველა თხილი—თხილის გვარი.
გურგული—ქუხილი.

—

დაბაბილოება—ვაზის ფოთლებით დაბურვა.
დათვისხალაი—მსხლის გვარია.
დათვიფანჩარა—მცენარეა.
დათხრა—დაგლეჯა ძირიდგან.
დამოწმება—დაბარება, დუბარე.
დაპურება—საჭმლის მიცემა.
დახეფსება—ორიოდე ლუკმის ჭამა.
დაქახრაკვა—დიდი სიმძიმით სისველის გამოდენა, გამოშშრალება.
დაფხნა—მც. ხ.
დედლიქონა—მც.
დოჩახაური—დიდი ტეტხლი.

—

ეგირი—მც.
ეკალაი—მც.
ეკლიხე—აკაკი (მც.)
ეანძე—ტოტა ხანს საჩქაროთ.
ელესო—
ესრისა—მც.
ეწერი—სუსტ-ნაყოფიანი ადგილები, გვერდობები.
ელისაგორი—მც.
ელუსალემაი—მც.

—

ვაშლ-ატამი—ატამ-გვარი.
ველური თხილი—თხილგვარი.
ვენახი—ვაზი.

—

ზარბაზანაი—მც.
ზაფრანაი—მც.
ზეგანი—მაღლობი ადგილი.
ზეგნური—მაღლობზე მცხოვრები.

—

თავნიოსი—მც.
თაველი—თავ-თავი ლომისა, ბუნისა.
თავკობალა—ქვემძრომი (головастикъ).
თალაბულისი—ქამარი ტუავისა.
თაქოსტო—მც.
თანჯარა—ბატარა ქვაბი (ჭურჭ.)
თავშავა—მეფრ.
თოხიტარა—მეფრ.
თელა—მც. ხ.
თეთრიშა—უფრძენის გვ. ან და თეთრის კანის ადამიანი.
თეთრი სიმინდი—სიმინდის გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქლივი ნიგოზი—თხელ-ნაჭუ-
ჭიანი კაკალი.
თეთრ-ლელვა—ლელვის გვარი.
თხიფსელა—მტ. ხ.

—

ივანობის თვე—თებათვე.
იზაბელა—უურძენია, ადესსა.

—

კალო—სიმინდის და ღომის და-
სახვავებელი ადგილი.
კამური—უურძენია.
კამნიე—მტ.
კაკლა—მომარცვლა, მარცვლის
გაშნევა.
კაკალი—მარცვალი.
კაკირა—მტ.
კარიე—საქათმე.
კახამბალი—ბალის გვარია.
კახამბალის ბუში—ბალის გვ.
კატარი—ხის წვერია.
კატაბარდა—მტ.
კაპჭანი—თუჯის ქვაბი (ჭურჭ).
კაცის-თავა—მსხალის გვარია.
კვერცხის სოკო—სოკოს გვ.
კვიდო—მტ.
კვერი—ნადვერდალში გამომ-
ცხვარი ჭადი.
კვირიკობის თვე—მკათათვე.
კერკეტი ნიგოზი—მაგარ-ნაჭუ-
ჭიანი კაკალი.
კეჟერა—მტ.
კლარჯული—უურძნის გვარია.
კოდარა—კოდალა (მფრ.)
კოთხოჯი—მტ.
კოთხო—კოში, ჭურჭელი ხისა.
კონწარუხი—კოწახური (მტ.)
კოტა—ტარო სიმინდისა.
კორძუდი—უურძენია (ართვინუ-
ლი).
კოპიტი—მტ. ხ.
კორიზა—კედლიტილა (მწ.)
კოლონა—კოდო (მწ.).
კოჭობა—პატარა ქოთანი.
კლიავი—მტ.
კუდ-ბუზელა—მწერია.
კულუმბუხი—მეურინველია.
კურკუში—გორგოხი.
კუხურაი—ღომის გვარია.

—

ლაგინა—პატარა დოქი.
ლასტი—წნული.
ლაფერა—ხის კოვზი, პატარა
ნიჩაბი ღომის სარევათ.
ლიმონივაშლი—ვაშლის გვარ.
ლიფსიტი—თეგზის გვარია.
ლუკუმფხა—მტ. ხ.
ლოგინი—ტახტი.
ლოქორიე — ფოკოკინის მა-
ტლი.

—

მათრახა ლომი—ღომის გვარია.
მაბზაკუნა—მფრ.
მაისის ბალი—სალდრეო ბალი.
მარინობა—ბაზრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაფხაჭუნა—მეფრ.
მდოგვი—მტ.
მელამიე—დამურა.
მეყანული—ყანის მუშა.
მეჩხერი—თხელი ნათესი.
მებოლოვიე—მეფრ.
მერე—დაბალი, დია ტიალი ნათესი ადგილი.
მთის ჩიტი—მეფრ.
მისაჭმელი—ხორაგეული.
მიწის კიტრი—კიტრის გვარია.
მიწის ლობიო—ლობიოს გვ.
მოდული—მოდლილი ნათესი მიწა.
მოწებვა—ბირის მოსწორება.
მოხატური—ყურძენის გვარია.
მოლრის სხალი—მსხლის გვ.
მოლალრის სხალი—მსხლის გვ.
მკვდარი ვაშლი—მტ.
მუჩქა—საუკეთესო გძელი და სუქანი თავგლე ნათესლეთ.
მწარე ხაპია—მტ.
მხარწითელა—მეფრ.

—

ნადი—ყანის მუშათ ბრბო.
ნადური—ყანური სიმდერა, მუშური.
ნადული—ანძლატი.
ნავეულა—გაფშვნილი ტარო სიმინდისა.
ნალიე—სასიმინდე.
ნატეხარა—ქოთნის ნატეხი, რომელსაც ქოთანს ასახურავენ.
ნაპირი—ერთი კაცის ხელმოსაქნევის გამუშავება ყანაში, ერთი თავიდგან მეორე თავამდე ან ბირამდე.

—

ორანაი—ყურძნის გვარია.
ოსოპონტრო—მტ.
ოქრაო ცერცვი—მტ.
ორკოპე—ჭურის ამონარეცხის ამოსადები ჭურჭელი, ორ კოპიტა.
ორჩხუმი—ჭურის სარეცხი ცოცხი.
ოლვალო—მტ.
ოხატუა—მტ.

—

პანტა ვაშლი—წვრილი ვაშლი.
პაპასკირი—შარდის ძნელათ დაქცევა ტკივილითა.
პიწკი—ჩინჩხვარი.
პუტკური — წვრილი ქინქლა (მწ.).
პწერი—ბუზი (მწ.)

—

რუსული ლობიო—ლობიოს გვ.
რუსული კიტრი—კიტრის გვ.
რძია-რძუა—რძიანა (მტ.).

—

საკრელი—ძმრის დოქი.
საივანობო სხალი—თიბათვეს მოსული მსხალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათალი ატამი — სახრავი ატამი.
სანეფო ვაშლი — ვაშლის გვარია.
სამარხი — ეურძნის გვარია.
საინი — თეფში.
სასელა — მსხლის გვ.
სახეთქი ატამი — საბზობი ატამი.
საფერისცვალობო თხილი — თხილის გვარია.
სეფეთი — კიდობანი.
სველი — შრატი.
სიოკო-ბოკო — ოდრო-ჩოდრო ადგილი
სლიკვი — ანკარა (ქვე-წარმ.).
სუქანა — მტ.
სოხი — მტ. (ხახვი).
სურო — (მომსვევი) მტ.
სხალ-გოდელა — მსხალის გვ.
სხალყვითელა — მსხლის გვარია.
სხვენი — კერას ზემოთ ჭერებზე შესასახი ადგილი.

—

ტაბელა — მტ.
ტალერიევი — ტამარი.
ტანა-კრეფა — სიმინდ - ღომის ადების დრო.
ტრიე —
ტრიეკუდა — მტ.
ტრედი ფეხაი — ეურძნის გვ.
ტინტილა — ხვლიკი (ქვე-წმ.)
ტუკი — მოკლე და სხვილი ჯოხი
ტყაველია — მტ.

—

უთხელა — მტ. ხე.
უმბოლო — მტ.
უყი — დასვენებული დასათესი ადგილი.

—

ფანჯატური — გოგრის გასვლი აიკანი.
ფილი — როდინი, სანაყი.
ფოცხვერი — ძველი ტურა (ნად.)
ფურცელი — ფოთოლი.
ფურცლვა — შემოფოთლვა.
ფუტი — კვამლი.
ფუღუ — ქვემსოში.
ფუცუნცელა — მწერია.
ფშალაი — მტ.
ფხაჭუა — მწ.
ფხალი — ბალახეული საკმელია.

—

ქათანაცარა — მტ.
ქართოფილი — კარტოფილი.
ქათმიქონა — მტ.
ქალტა — ხალხამ.
ქვეშწითელა — სოკო.
ქავშიე — წვრილი გვ. თევზია.
ქონალობიო — საუკეთესო ლობიოს გვარი.
ქილა — ფუთის სანაწყალო.
ქრისტესისხლა — მტ.

—

ღინწვა — ანის ნატეხა.
ღრიფი —
ღუჯის ლობიო — სარზე შესახვევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლჯა — ლობიო სარი.
ლომის თვალა — ეურძენა.
ლომის ლომი — მც.
ლვრელო — ნაღვერდალი.
ლვაქაქა — ქვემძრომი.
ლჯის კიტრი — სარზე შემხვევი კიტრი.

—

ყავი — პატარა ნადირა.
ყანის აღება — წიფლობის თვეში ყანის მომუშავება.
ყანჩა — მფრ.
ყვერება ლობიო — მსხვილი ლობიო.
ყვერი — ფუში.

—

შავლელვა — შავი ლელვი.
შავი ხე — მც. ხ.
შავი ვაშლი — იხილე ნაცარა ვაშლი.
შამბალა — შავი ბალი.
შაშტრამი — მც.
შუქი — პატარა ქარი, ნიავი.
შქერი — მც. ხ.

—

ჩაქურა ლომი — ლომის გვარია.
ჩალამ-კალამი — მც.
ჩალვა — ჩალის ადგა.
ჩამოჩაქუჩავება — ჩაქუჩსავით მოდუნული თავი.
ჩემური — ლომის ს�ეხი.
ჩიტლელვა — წვრილი ლელვი.
ჩოგანი — ლომის საზელი ჯოხი.
ჩხიკვისთავა — თხილის გვარია.

—

ცხენიკბილა — მც.
ცოცხა-ცოცხა — მც.

—

ძირდაბალი — ლომის გვარია.
ძალლი კამნიე — მც.
ძალლი მწერი — ძალლის ბუზი.
ძიგურა — მც. ხ.
ძმერხლი — მც. ხ.
ძროხიენა — მც.

—

წალიკა — მც.
წვერედა — თევზია, მურწა.
წითელ ვაშლაი — ვაშლის გვ.
წითელი სიმინდი — სიმინდის გვარია.
წიწმარიტა — წიწმატი, მც.
წირის თავი — ჩემურის ნაწვრა.
წყლიჩემერი ქვა — საცეხი ლომისა.
წყაკი — მც. ხ.
წირდგარი — ურმის დასაყენებელი ჯოხი.
წუმბურ — ეურძენი.
წურუქი — შრატი, დოს წვენი.

—

ჭანდუა — მც.
ჭარფალაი — თევზი.
ჭადა-ჭადა — მც.
ჭარილა — დიდი ლოქი.

ჭანდარი—ალვის ხე, მტ. ხ.
ჭარხრჩილა—მტ. ხე.
ჭურმამული—მამულ-დედული.
ჭყანა—მტ.
ჭიქლაყა—მტ.

—

ხასანბეგური—სიმდერა.
ხატრი სხალი—მსხლის გვარია.
ხარაბუა—მწერი.
ხაპი—კვახი, გოგრა.
ხაპერა—კვეხი.
ხვართქლაი—მტ.
ხვიმრა—მტ. ხ. ხურმა.
ხელხვავი—სიმდერა.
ხელგობა—ბინა, ბატარა ვარტლი.
ხელური ყველი—ხელით ამოდებული ყველი.
ხეკეჭური—მსხლის გვარია.
ხის სოკო—სოკოს გვარია.
ხოხიე ლობიო—დობიოს გვ.
ხლუი—ქვემძრომი.
ხოზიკა—მტ.

—

ჯაკვი—ქვაბის ჩამოსაკიდი კერაზე ჯაჭვი.
ჯირეკი—დიდი ნუგუზალი.
ჯორიელა—დომის გვარია.
ჯორკო—დასაჯდომი გობო.

ბ. ბგურამაძე.

პ ა ს უ ხ ი „გ—ო“-ს

(„კვალი“ № 3)

ბ—ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ თქვენს ჟურნალს „მოგზაურ“-ში ორიოდე სიტყვით ვუპასუხო ბ. გ—ოს, რომელიც ამა წლის „კვალი“-ს მე 3-ე №-ში ათავსებს ბიბლიოგრაფიას „მოგზაური“-ს 1 №-სას.

ვის გაუგონია წერილი ჯერეთ კიდევ დაწყებულათ არ ითვლებოდეს (მოგზაურის 1 №-ში) და გ—ო კი წინასწარ-მეტყველებდეს წერილის ავ-კარგიანობას შემდეგი საფუძველით: „სახედარს ხარს საქოჩრეზე შეეტყობაო“.

მკითხველი ჟურნალ-გაზეთობისა ამას სასაცილოთ მიიღებს და ეს ასეც არის. „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია

სულსა-გულსა“, ამ ანდაზისა არ იყოს, სიბოროტის მეტი არა გამოდის რა იმ ბიბლიოგრაფიიდგან.

მე მოგახსენებთ ჩემის სტატიის შესახებ, რომელსაც ასე უმართლოთ და უაზროთ ეხება ბ. გ—ო და აქიაქებს, მგონია, უფრო თავის თავს. რადგანაც ჯერ დაუმთავრებელი წერილია და მას ვერაფერი გაუგია, ამას მე გავაგებინებ მოკლეთ.

1) განა არ შეიძლებოდა გურია მოშელიგებული ყოფილიყო მეგრელებით, ქართლელებით!—განა ესენი ქართველები არ იქნებოდნენ?.. მითომ რატომ მიგიღიათ პირში საღეჭათ და კიდეც ჰკვიროობთ როცა ამბობთ: „მადლი ღმერთს, გურია გურულებით ყოფილა მოშელიგებული და არა თათრებითაო.“

2) ერთგვარი მოდგმისა თუ კი სოკო იქნება, როგორც თქვენ ბძანებთ ამას, მითომ და ქართველი რათ არ იქნება როგორც მესხი, მეგრელი, ქართლელი და სხვ., ბ. გ—ო? მარა კი არ გაგემტყუნებათ: „მჭადი-ჭამიას მჭადი და დო-ჭამიას დო აგონდებოდაო.“ თქვენ სოკო გყვარებიათ და მარხვა, რადგანც მომავალი იყო ახლოს, მის აშიკობაში სულმა წაგძლიათ, ვეღარ მოითმინეთ დამარხვება და გაძახათ ბრალმა.

3) წყალთა ჩქრიალის მიმდინარეობით მომხდარი ზარფი (ნიავი) მდინართა პირათ მოცულ მცენარეთა ფოთოლთ ანძრევს, ერთ-მეორეს, მეორე მესამეს, მესამე მეოთხეს, დავუმატებთ ჩვენო,—იძახით თქვენს წერილში, მარა მეც რო დავუმატო—„მეოთხე მეხუთეს“-მეთქი, მაშინ ხომ მეც თქვენისთანა ხუმარა შევიქნები.

4) თურმე ქართლში ფრინველებს თოფი გინა მოხვდეს, გინა არა, მაინც არ აფრინდებაო, იძახით (ცდომით); ეს მეტის მეტი თავის აგდებაა... მითომ რატომ კარგათ არ წაგიკითხავთ საბოლოვო სხოლიო ამის შესახებ, ხომ არ გამოაშკარდებოდა საგაზეთოთ თქვენი უადგილო გულმოსულობა! რაც შეეხება თქვენს საოცნებოთ გახუმარებულს ფრაზას ჩემსას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თუ მოხვდა—ან მოკვდება ან დაიკოდება და თუ არა მაშინ ირჯვის ფრინველი ხიფათის თავიდგან აშორებასა“,—დააკვირდით კარგათ ამ აზრს, თუ როგორაა გასაგებათ და თქვენ კი ჩინეთ-თათრულათ უკუღმა როგორ გიწერიათ!

5) ბარაქალა თქვენს მეხსიერებას და ნიჭსა, ბ. გ—ო, რო მიხვედრილხართ—„უსულო ცხოველები არ შეიძლებაო“: ამას ჩემ-მიერ რწმუნებულ სკოლის 6—7 წლის ბავშვები ასე თქვენსავით თამამათ და მკაფიოთ ვერ მოახერხებდნენ ამის თქმასა, კიდეც რო გაეგოთ. და ეს ფრაზა რო კორრექტურული შეცდომა იყო, ამას ყველა მიხვდებოდა, ხოლო თქვენ ვერ მიმხვდარხართ. დაბეჭდილია: ადამიანი და სხვა და სხვა სულიერნი ცხოველნი.. უნდა იყოს: ადამიანი და სხვა სულიერნი (ოთხფეხი ცხოველი, ფრინველი და სხ.).

კორრეკტურული შეცდომა ჩემი ხელნაწერის ბრალია, რადგან გაურჩევლათ იყო და წაკითხვა ძნელი იყო.

მესხი კონსტ. გვარამაძე.

რ უ ს უ დ ა ნ *)

მ ო ქ მ ე დ ებ ა მ ე ს ა მ ე

ჩ ვ ე ნ ებ ა I

ეგივე სასახლე რუსუდანისა. შემოდის რუსუდანი და მერე ათაბაგი ივანე, სხდებიან ტახტზე და საუბრობენ იდუმალს კილოზე.

რუს. დიალ, ვიმეორებ, ვერასგზით ვერ მოვიბირეთ შალვა და ივანე ახლციხელნი, აგრეთვე ცოტნე დადიანი, ბოკო და მემნა ბოცოს ძენი, ბექა ყვარყვარეს ძე, თორელნი და ფშავ-ხევსურნი.

ივანე ათაბაგი. გარემოება გადმოიყვანს მათ ჩვენს მხარეს, დედოფალო!

რუს. ჩემს დედოფლობამდე ჯერ შორეა, ათაბაგო! ან და, ვინ იცის, მელირსება კი დედოფლობა! მაგრამ ამას თავი დავანებოთ. მითხარით, რომელს გარემოებაზე უბნობთ თქვენ?

ივ. ათ. იმ გარემოებაზე, რომ 12 ათასმა თათარმა ბერდუჯის მდინარეზე 80 ათას ქართველ ჯარს თავზე კაკალი დაამტვრია და გამოდევნა!

რუს. მახსოვს, იქ მაშინ ბევრი ქართველი დაიხოცა!

ივ. ათ. დაიხოცა, გარნა მეფე ისევ თავხედად იქცევა და ზემოხსენებულნი თავადნი და მთავარნი მის თავხედობას კიდე ხელს უწყობენ.

---

*) იხილე «მოგზაური» №№ 8 და 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუს. ჩემს ძმას თავზარი დასცა მაგ მარცხმა, მაგრამ მაინც კერპობს, წარჩინებულ თავადებს არ გირიგდებათ, კანონიერს ცოლს არ ირთავს, ისევ ველისციხელის ცოლზე თვალი უჭერია და მეხვეწება, ნაბიჭვარი ფუფუნებით აღვუზარდო და ტახტის მემკვიდრედ გამოვაცხადო!

ივ. ათ. ნუ ნაღვლობთ, დედოფალო, ლაშა და მისნი მომხრენი უფსკრულში ჩაცვივიან.

რუს. როგორ?!

ივ. ათ. მეფეს ფათერაკი არ ასცდება. ამბობენ, თათართ უმრავ ლაშქარს დაუმარცხებია სპარსნი და მათი ყაენი ჯელალ-ედ-დინ 140,000 მეომრით ჩვენკენ გამოქცეულა.

რუს. მართლა!

ივ. ათ. დიაღ! გამოქცეულა და მას ფეხდაფეხ მოსდევენ თათარნიც.

რუს. მერე რა სიკეთეს დაგვაყრიან ან სპარსნი და ან თათარნი?

ივ. ათ. იმას, რომ ლაშას თავხედობას ბოლოს მოუღებენ!

რუს. თუ მეფეს დაამარცხებენ, სამეფოსაც აგვიოხრებენ და აგვიკლებენ, მერე რიღას მეფე ვიქნები მე და ვიღას ამირსპასალარი შენ იქნები?

ივ. ათ. ნუ დრტვინავთ, დედოფალო! ისე მოვახერხებ საქმეს, რომ ევნოს მხოლოდ თქვენს წინააღმდეგებს.

რუს. ღალატს ხომ არ უპირებ ქვეყანას, ათაბაგო!

ივ. ათ. ღალატით სულს როგორ წავიწყმედ! გარნა ამას კი ვიზამ, რომ დროზედ ლაშქარს არ მივაშველებ შალვასა და ივანე ახალციხელებს, რომელნიც, ჩვეულებისამებრ, მოვალენი არიან მოწინავედ იბრძოლონ.

რუს. შალვა ლომგული კაცია. ეგ თუ დაამარცხეს, ვეჭობ, დანაშთენ ლაშქარმაც გაუძლოს მტერს!

ივ. ათ. ენდეთ, დედოფალო, ჩემს გამოცდილებას!

რუს. მოწინავე რაზმის აღწყვეტამ ვაჲ თუ გარემოება ისე და-

ატრიალოს, რომ დიდების მძებნელთ ის დიდებაც აგ-
ვეხადოს, რის პატრონებიც ვართ დღეს!

ეგ. ათ. გავიწყდებათ, დედოფალო, რომ გვარტომისა და
რჯულის გამომცვლელს ეშმაკიც ვერ მოატყუებს!

(თავს უკრავს და გადის. მერე შემოდის ლაშა)

ლაშა. საყვარელო რუსუდან! მალე ველარ ნახავ შენს ძმას!

რუს. რატომ მერე?

ლაშა. დიდძალი მტერი მოდის ჩვენკენ!

რუს. ვინ მტერი! რა მტერი! საიდგან?

ლაშა. სპარსნი მოდიან და თათარნი მათ მოელალებიან.

რუს. იგივე თათარნი, რომელთაც ბერდუჯზედ დაამარცხეს
ჩვენები?

ლაშა. იგივე თათარნი, რომელთაც ათაბაგის ღალატით და-
გვამარცხეს!

რუს. ათაბაგის ღალატით კი არა!

ლაშა. სწორეთ ივანე ათაბაგის ღალატით. თუ მაგას არ ეღა-
ლატნა ჩვენთვის, განა რა ძალა გასტეხდა ჩვენს ლაშქარს!

რუს. ნუ სცოდავ, მეფეო! ათაბაგი წმიდა კაცია. საიდუმ-
ლოდ ბერადაც აღკვეცილა.

ლაშა. წმიდა კი არა, ფარისეველია! ჩვენი დაღუპვა უნდა მას.

რუს. ნუ დაიჯერებ მაგას! ბევრი მოშურნე ჰყავს და იგინი
ავრცელებენ ათასგვარ ჭორებს.

ლაშა. გველი ტყავს იცვლის და ისევ გველად რჩება. ივანე
ათაბაგიც ასეთია: თესლ-ტომით ქურთი გასომხდა, მერე
სომხობას უღალატა და გაქართველდა და ახლა, რო-
დესაც გავამდიდრეთ, გავასუქეთ და გავადიდეთ, ჩვენს
ღალატს აპირებს.. მგონი, ახლა ეგ გათათრდება!

რუს. ყველაფერს დავიჯერებ და ათაბაგის ღალატს კი ფი-
ქრად ვერ მოვიღებ!

ლაშა. ეგ ორ გზის სახლში შემომივარდა და დამემუქრა: თუ
ჩვენს ნებაზე არ ივლიო, გაგშორდებითო! და გამშორ-
და კიდეც და გამაშორა შანშე ზაქარიას ძე, ვარამ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელი და ბევრნი სხვანი თვისთვისად წავიდნენ. თათრის პირველ შემოსევაზედაც მაგან გვიღალატა. ახლაც მოდისო თათარი და სპარსი. მინდა ათაბაგი გადავაყენო ამირსპასალაროობიდამ და ლაშქარს სხვა წინამძღოლი დავუნიშნო.

რუს. ვის დანიშნავ? ივანე ათაბაგი გამოცდილი კაცია, თვით ლაშქარიც მას შესჩვევია. გაჭირების დღეს ეგ რომ გადააყენო, ვაჲ თუ ამბოხება მოხდეს და სალაშქროდ ალარავინ წავიდეს! გამიგონე, ძმაო! ეხლა სიფიცხის დროარ არის! თუ საშიშარი მტერი მოდის, მას უნდა დაუხვდე ყოვლის შენის ძალ-ღონით, თავზე კაკალი დაამტვრიო, ისეთი ზარი უნდა დასცე, რომ მეორედ პირში ველარ შემოგხედოს და თვალი ველარ გაგისწოროს. ეჭვები გადიყარე, თუ სამუდამოდ არა, დროებით მაინც მოიხმარე ათაბაგი, ჯერ მოსეული მტერი მოიშორე და მერე შინაურებს გაუსწორდი!

ლაშა. კარგს მირჩევ, რუსუდან! მაგრამ საძულველი კაცი კიდევ მოვიწვიო? როგორ ვანდო მას 80,000 მეომარი!

რუს. ჩვენ რომ გვიღალატოს მან, თავის თავსაც ხომ უნდა ულალატოს! მაგის საპატრონებელი უფრო მიჯნაზედ არ არის! საქართველო თუ წაახდენინა, თვითონაც ხომ წახდება! თავის დაცვის გრძნობა მაინც არ ექნება?

ლაშა. არ გსმენია: ორგულნი სხვას მთხრებლს უთხრიდნენო და თვითონ შიგ ჩაცვივდნენო! და ახლა ვაჲ თუ მაგან გადაგვიყოლიოს და თავისთან ერთად განსაცდელში ჩაგვყაროს!

რუს. ტყუილი შიშია! ათაბაგი იმდენად დავალებულია დედა ჩვენისაგან, რომ ღალატს ვერ გაბედავს, ვერა, ვერა და ვერა!

ლაშა. კიდეც ეგ არის და! შემჩნეულია ძველთაგანვე: ქართველთ დიდებულნი განსუქდებიან, განდიდდებიან, განლაღდებიან და გაუორგულდებიან თვისთ მეპატრონეთაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენება II

სამეფო ბალატი. რუსუდანი და ლაშა სხედან ტახტზე. შემოდიან მემნა, ბექა და ბოცო—სხვა და სხვა დროს.

ლაშა. საყვარელო დაო! დღეს მე და შენ დიდ-დიდი საქმეები უნდა განვიხილოთ და გადავწყვიტოთ!

რუს. რა და რაა განა ეგეთი?

ლაშა. შეიტყობდი, დაბრუნდნენ მემნა, ბექა და ბოცო!

რუს. ჰო, მაგონდების, დღეს უნდა გადასწყდეს ჩემი ბედიც!

(შემოდის მეკარე)

მეკარე. მეფეო, მემნა თქვენს ნახვას თხოულობს!

ლაშა. მობრძანდეს!

მემნა (შემოდის და თავს უკრავს მეფეს და მის დას).

ლაშა. აა! ჩემო მემნა, რა ამბავია?

მემნა. თათართ საშინლად შეუმუსრავთ ხვარაზმელნი და ჩვენკენ მოელალებიან!

ლაშა. მართლა! (აღფრთოვანებით) მოვიდნენ და მე ვაჩვენებ მათ სეირს (ხმალზე ხელს იკრავს). მე თვითონ წავასხამ ჩემს ლაშქარს და ვაყურებინებ უსჯულოთ, როგორ იბრძვიან ქართველნი!

რუს. როგორ აირია ქვეყანა და!

(შემოდის მეკარე)

მეკარე. ხელმწიფეო, ბექა გიახლათ.

ლაშა. სთხოვე მობრძანდეს.

ბექა. (შემოდის, თავს უკრავს და მეორე) იცოცხლეთ, დიდებულო მეფეო და დიდებულო ბატონიშვილო!

ლაშა. რა მოგაქვს?

რუს. რა დაგაბარეს?

ბექა. შარვაშემ შემოსთვალა: თუ რუსუდან ცოლად არ გამომყვა, საქართველოს დავესხმი ჩემის ლაშქრითაო, რომლის რიცხვი იმდენიაო, რაოდენიც ზეცაში ვარსკვლავი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუს. ჯ-მე!

ლაშა. რუსუდან, მტრის მუქარისა არ მეშინიან, გარნა, გირჩევ, მისთხოვდე, შარვაშე დიდი ხელმწიფეა, მთელი გურგანის ზღვა მას უგზავნის სიმდიდრეს, ნუ უვაროს! მოიგონე, იქვე დედუფლობდა დავით აღმაშენებელის ასული თამარიც.

რუს. შარვანის დედოფლობა ჩემთვის მცირეა!

(უემოდის მეკარე)

მეკარე. მეფეო, ბოცო მობრძანდა!

ლაშა. შემოიყვანე!

ბოცო ბოცოს ძე. (შემოდის, თავს უკრავს ჯერ მეფეს და მერე რუსუდანს) იცოცხლეთ მრავალჟამიერ!

ლაშა. რას გვახარებ, ჩემო ბოცო!

ბოცო. ხალიფამ მელიქ სულთანმა შემოგითვალათ: მეფეო, თუ რუსუდანს ჩემს შვილს არ მოათხოვებენო, რვაასათასს კაცს მოვასხამ საქართველოშიო, ქვეყანასაც დაგინგრევთო და რუსუდანსაც წამოვიყვანთო!

რუს. ვაჲ ჩემს თავს! როგორ იხლართება ჩვენი საქმეები!

ლაშა. ძნელს ყოფაში ჩავცვივდით! აღმოსავლეთიდამ იმუქრება მტერი, დასავლეთიდამ აგრეთვე, სამხრეთიდამ მოდის უამრავი მებრძოლი, შინაც ორგულობამ მოიკიდა ფეხი! ცა რისხვით გვემუქრება! მთელი მსოფლიო წინ აღგვიდგა! დაო, მარტო შენ შეგიძლიან შეგვიმსუბუქო ჩვენზედ მოწევნული ჭირი. შენი თანხმობა ერთს მტერს მაინც დაგვიშოშმინებს!

რუს. (ამოოხვრით) თუ ჩემი გათხოვებით საქართველოს ეშველება, ისევ შარვაშეს მივსთხოვდები!

ლაშა. ამინ შენს გარდაწყვეტილებას (ეხვევა დას და ჰკოცნის).

ბექა, ბოცო და შეშნა. იცოცხლენ მრავალჟამიერ, შარვანის დედოფალო (დაბლა თავს უკრავენ რუსუდანსა და მეფეს და გადიან).

ლაშა. ქორწილი უნდა დავაჩქაროთ. რახან შარვანის დედო-

ფალი იქნები, გაჭირების დღეს შემოგვაწევ იქაურს ლაშ-
ქარს, და გაჭირებაც ხომ კარს მოგვდგომია!
(გადიან).

ჩ ვ ე ნ ე ბ ა III

ბაგვნის (ბაქოს) მინდორი 18 ივნვარს. გარშემო მთებზე თოვლი
მოჩანს. აქა-იქ კარვებია. ლაშა ტასტზე წევს ტეტხლის ბირას. იქვეა
რუსუდან და დიდებულნი, ლაშქარი აქა-იქ ფუსფუსებს.

ლაშა. „სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი სადით ძირ-
სა!“ დის ქორწილში სალხინოდ მივდიოდი და, დახეთ,
რა მომივიდა ამ უდაბურს ადგილას! უცბად მხურვალე-
ბა აღმიჩნდა! აქ უნდა მოვკვდე! ვაჲ, მიშველეთ! (გულ-
მისდის).

რუს. წყალი ჩქარა!

ბოცო. თოვლი დაადეთ? (ადებენ).

ლაშა. (გონს მოსული) ვაჲ, თავი! გულღვიძლი ამომდის, შიგ-
ნიერობა მეწვის, ცეცხლი მედება (მწარედ ბორგავს).
ჩემს დღეში ჩემს თვალს ცრემლი არ უნახავს, ახლა კი
მდუღარება წამსკდა! ვაჲ, რა რიგ ვიწვი! სამსალა ხომ
არ დამალევინეს ნეტა! ჰოჰეჲ, ვკვდები! აქ მოგროვ-
დით! რუსუდანს გაბარებთ! ჩემს შემდგომ იმეფოს! ერთ-
გულად უყმეთ, მხნეთ ტახტი დაუცევით! თუმც ქალია,
გარნა სიბრძნე არ აკლია და სამეფო საქმეები იცის. ვე-
ლისციხელის ცოლისგან ყრმა დამრჩა. ოდეს ეძლოს მე-
ფობა, იგი გაამეფეთ. შენც გამცნემ, დაო, მემკვიდრეს
ნუ გამომიწყვეტავ! ჩემი დათია, ჩემი პაწია დათუნია!..
(გული მისდის, გულადმა ბრუნდება, ხელებს გულზე იჯვარე-
დინებს). რ უსუდან! ჩემს.. ანდერძს.. ნუ... დაივიწყებ!

რუს. სული დალია! ჯომარდნო, დავიღუპენით! (ისმის სა-
ერთო ტირილი, გმინვა; ზოგი ტანისამოსს იფლეთავს, ზო-
გი თმას იგლეჯს, ზოგი ხატარს იურის). ნულარ ტირით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმანო, ქალაქსვე წავიდეთ და მეფის გვამი მამაპაპათა სამარხს მივაბარეთ!

(იურებიან და მიდიან).

ჩვენება IV.

ტფილისის სასახლე. სამეფო პალატში ტახტზე ზის დედოფალი რუსუდან მგლოვიარედ ჩაცმული. შემოდის ათაბაგი ივანე.

ივ. ათაბაგი. (მოწიწებით თაყვანს სცემს დედოფალს და მიეგებების) იდღეგრძელენ, დიდო ხელმწიფეო, მრავალ ჟამიერ!

რუს. მადლობელი ვარ, ჩემო ივანე! დაბძანდი სელსა ამას ზედა (ივანე თავს უკრავს და ჯდება სელზედ, მარჯვნივ ტახტისა და პირისპირ დედოფლისა).

ივ. ათაბ. ხელმწიფეო და მეფეო, მოგვართვით ხელმოსაწერად საპასუხო წიგნი რომის პაპისადმი.

რუს. სწორეთ კარგს დროს მოიტანეთ. გუშინაც იყო ჩემთან პაპის ლეგატი—მოციქული დამიატი და კვლავ მეხვეწებოდა პაპისთვის მიგვეწერა წიგნი და აგვეხსნა, თუ რისთვის ვერ შევასრულეთ პირობა და რა მიზეზით ვერ მივიღეთ მონაწილეობა ჯვაროსანთა ომში. იგი შიშობს, რომ პაპი არ გაურისხდეს.

ივ. ათაბ. მაგას რათ გაურისხდება, პატრონო ჩვენო!

რუს. მად, რომე პაპის თხოვნისამებრ მეფე ლაშა დაჰპირებოდა დამიატს ჩემს ლაშქარს შემოვუერთებ თქვენს ლეგიონებსო და, ღვთით, უფლის საფლავს განვათავისუფლებთ აგარიანთა ხელისაგანაო. მამა დამიატსაც მიეწერა პაპისათვის და ეხარებინა, რომე ქართველთა ძლიერი ლაშქარი მზად არის ემსახუროს თქვენს უწმიდესს ტახტსაო და ქრისტიანეთ განთავისუფლების საქმესო.

ივ. ათაბ. ახლა მესმის, რისთვისაც გვაჩქარებს მამა დამიატი.

რუს. ვის გადაათარგმნინეთ ჩვენი საპასუხო წერილი?

იგ. ათაბ. მისს უწმიდესობას პატრიარქს და კათალიკოზს, ხელმწიფეო!

რუს. კეთილი, კეთილი. აბა ერთი კიდევ წამიკითხე ჩემი საპასუხო წერილი.

იგ. ათაბ. (ხსნის ეტრატს და ჰკითხულობს:

მისს უწმიდესობასა პაპს და მეუფესა ყოველთა ქრისტიანეთასა, მჯდომარესა ტახტსა ზედა ნეტარის პეტრესასა, რუსუდანი, მეფე ქართველთა, მისს უწმინდესობის მონა და ასული, თაყვანისმცემელი მისი ვიდრე ფერხთადმდე, მოიკითხავს. ვსასოებ ღმერთსა, რომე ვინათგან თქვენ ხართ უდიდებულესად უალმატებულესი წინაშე უფლისა, იგი შეისმენსცა თქვენს ვედრებასა და ლოცვას ჩვენთვის, რომელთა მომართ თუ კეთილ-ინებებ ზრუნვასა და მოქენეობას. ამასთანავე განვუცხადებ თქვენს უწმიდესობას, რომე ძმაი ჩემი, მეფე ქართველთა, გარდაიცვალა და სამეფო მისი მომებარა მე. ვითხოვთ შენს კურთხევასა ჩვენთვის და ქვეშევრდომთა ჩვენთა ქრისტეანეთათვის. მოგვივიდა ჩვენ დიდი სარჩელი შენი და ბრძანება, რომელიც გადმოგვცა ლეგატმა შენმან, რომელ იყო დამიატისას, რათა ძმაი ჩვენი წარმოვიდეს შეწევნად ქრისტიანეთა. და იგიცა განიზრახეიდა მოსვლას და მოვიდოდა კიდეც, თუ რომე ჩვენს სამეფოს არ შემოსეოდნენ თათრები და მრავალი უბედურება არ მიემთხვიათ ჩვენის ერისათვის და 6000 ჩვენი კაცი არ მოეკლათ. ჯერეთ ჩვენ იგინი ქრისტიანენი გვეგონნენ, რადგან ჯვარს წინა მოიძღოლებდნენ, გარნა, ვცანით-რა, რომე იგინი კეთილნი ქრისტეანენი არ არიან, შევიკრიბენით ძლიერებითა ჩვენითა, დავესხით მათ, აღუწყვიტეთ 25,000 მეომარი და დანაშთენნი განვასხით საზღვართაგან ჩვენთა. მიზეზისა ამისგამო ჩვენ ველარ შევძელით მოსვლა აღსასრულებლად ბრძანებისა მოწოდებისა მებრ ლეგატისა.

რუს. ჩვენი წერილი ძალიან კეთილ-ხმოვანად გამოსულა!

(აბრძანდება დედოფალი, ათაბაგს ეტრატს გამოართმევს, მიბრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძანდება მაგიდასთან და ხელს ასრე აწერს სავსუხო წერილს): რუსეთიდან, დედოფალი აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შანშა და შარვანშა, და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა პყრობით მფლობელი მეფე (შემდეგ ეტრადს აძლევს ათაბაგს და უბრძანებს) დღესვე წარუგზავნე პაპსაო.

იგ. ათ. დღესვე წარვუგზავნი, ხელმწიფეო, დღესვე! (თავს უკრავს და გადის).

რუს. (რისიანად) საქართველოს ვიდრე მეფედ ჰყავს რუსეთანი, პაპზე უძლიერესებსაც შემოიხვეწიებს საშველად! (გადის).

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია ნ ი ჩ ა რ ი *)

მოქმედება მეხუთე

(დასასრული).

ს ცე ნ ა I

ძველებური დარიბი ოთახი, ცალ-მხარეზედ სდგას ტახტი, რომელზედაც წევს ასლანი; კუთხეში მისი იარაღი აწყვია; თავით უზის ანნა და მალ-მალ დაჰხედავს.—შემოდის ფეფელა, მხარზედ კოკით წყალი შემოაქვს და კუთხეში დასდგავს, სადაც ორი ლიტრა სდგას. ხელში უჭირავს ფალასში გახვეული მალამო.

ანნა. ოჰ, კიდეც მოხველ, ჩემო ფეფელო!

ფეფელო. დიახ, გიახელ. (ჩამოასხავს ლიტრაში წყალს და ტახტთან მისდგამს) აი ისიცა,
თქვენ რომ მითხარით—ანნას მალამო;
ძლივსღა ვიშოვნე, ცოტას მივასწარ...
იმ დაღუპილსა ნაზუქაანთ ქალს
სულ აქეთ-იქით ურიგებია,
და აი ეს ღა დარჩენილიყო,
მაგის ჭრილობას კარგათ ეყოფა...
სხვას ხომ არაფერს მიბძანებ კიდევ,
ნურას დამზოგავ დედაშვილობას!..

ანნა. არა, ფეფელო, რას შეგაწუხო;
ამაზეც დიდი მადლობელი ვარ,

---

*) იხ. „მოგზაური“ №№ 8 და 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გაჭირვებულს—და მერე ამ დროს—
სახლი დაგვითმე—შამოგვიფარე;
და არას გვაკლებ, რაც შეგიძლიან,
ჩემი გულისთვის ამდენს დასდიხარ...

ფეფელა. მაგას რას ბრძანებ, ვუი ჩემს თავსა!..
ნეტავ შემეძლოს სხვაც მეტი შველა...
მე სახლს დაგიჭერ, ან თავს დავზოგავ?
მერე ამ დროსა—როცა სუყველა
საერთო არის გაურჩეველად,
ერთმანერთს უნდა წამლად დავედვნეთ!..
ოღონდ ეგ გყვანდეს ჯანმთელად-კარგად
და როგორც გნებავს, მე მიმსახურე.

ანნა. ღმერთმა გიცოცხლოს კარგი ქმარ-შვილი,
კეთილი გულის დედაკაცი ხარ,
მიტომ უყვარხარ ამ მთელს უბანსა!
თუ შემეწია ღმერთი და ჩემს შვილს
შეუსუბუქდა ჭრილობის ალი,
ვეცდები შენი შრომის გადახდას...
მართლა, სალომე ნეტავ აქამდის
იქ რაღას უცდის და არ მოვიდა?..

ფეფელა. ის ექიმბაში აქეთგან კარგად
მოშორებით სდგას, თითქმის ქალაქის
მეორე ბოლოს; ან შეიძლება
შინ თუ არ იყო...

ანნა. ეგრე თუ არი..

ფეფელა. ან შეიძლება ჯარშიაც იყოს..
და იქ სწამლობდეს... წყალზედ რომ ვიყავ
ეხლა, რა ვნახე!.. ხალხის სიხარულს
არ აქვს საზღვარი, რომ ჩვენმა ჯარმა
ურჯულოები პირქვე დაამხო
და სულ გარეკა... ისიც გავიგე:
ჩემი ქმარ-შვილი ცოცხალი არის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასახელოთა და ვაჟკაცურად
უომნიათო...

ანნა. ქა, მართალს ამბობ?

ფეფელა.—აგრემც შემარჩენს ღმერთი იმათს თავს!

ანნა.—ძლიერ მიამა!.. კვლავაც გაუმარჯვოთ!..

ფეფელა. ამინ! უფალმა შენც გაგიკურნოს
შენი არჩილი მაგ ჭრილობისაგან,
რომ კვალად მტერსა დასცემდეს ზარსა;
და შენი ჯიმშერ სოცხლებდეს დიდს ხანს
ხალხის და ქვეყნის სასარგებლოდა...
უი, ვილაცის ფეხის ხმა იყო...

(მიდის კარისაკენ. შემოდის **გოდერძ**)

მობრძანდი, გოდერძ, კეთილი იყოს
თქვენი ჩემს სახლში შემობძანება!

ანნა. ხომ კარგ ამბის ხარ მაუწყებელი?
ჯიმშერ რასა იქს, ან მთელი ჯარი?

გოდერძ. სულყველაფერი თავის რიგზეა;
არც ჯიმშერს, არც ჯარს არა უჭირსრა...
ესე იგი, ჯარს არა უჭირს რა
იმით, რომ იმან დღეს გაიმარჯვა,
თუმცა ზარალი დიდი მოგვეცა;
დავკარგეთ ბევრი შესანიშნავი
გმირი თავადი და აზნაური,
რობიტ, პაპუნა, კიკო და სხვანი...
ისე ხალხი ხომ ბევრი გაგვიწყდა...
ჯიმშერი კია უვნებლად არის;
მხოლოდა თითონ ვერ მოვა ჯერა.
მე გამომგზავნა, გაიგე სწორედ,
ხომ საშიში რამ არაფერია,
ჩემი არჩილი როგორ არისო?

ანნა. არჩილს ჭრილობა მაგრა შევუკარ,
სისხლიც შევსწყვიტეთ; მაგრამ არ ვიცი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ რა იქნება... ექიმბაშს ველით...
საწყალი ბიჭი სისხლის დენისგან
ძლიერ დასუსტდა და ეხლა ხანსა
ცოტა ჩასთვლიმა... (მზრუნველობით) მგონია, სძინავს...

გოდერძ. გულწასული ხომ დიდხანს არ იყო?

ანნა. გულწასული კი კარგა ხანს იყო.
ბოლოს კი—როცა სისხლი შევსწყვიტეთ,
ჭრილობაც ფრთხილად მთლად შეუხვიეთ,
მაშინ თან და თან მოვიდა გონსა.
მაგრამ მაინც კი ვერ გამოერკვა
და ბოდვას მოჰყვა... თუმც ვერაფერი
იმ სიტყვებისა ჩვენ ვერ გავიგეთ...
მერე ცოტას ხანს სულ გამობრუნდა,
სრულს ცნობას იყო; მერე სისუსტემ
ისევ დასძლია და აი ეხლა
მგონია, სძინავს... მშვიდათა ფშვინავს,
თუმც შიგა და შიგ კვნესასაც ურევს,
რაც ნიშნავს, წყლული ძლიერ აწუხებს.

გოდერძ. მაშ საშიში რამ არაფერია?

ფეფელა. საშიში მაგას—ჩემი აზრითა—
არა უჭირს რა... ეს არის მხოლოდ
დასუსტებულა და დასვენება
ეხლა სჭირია.

ანნა. არ ვიცი, რა ვქნა...
შეიძლება, რომ სწორედ ეგრეა...
მაგრამ მითხარი, ჯიმშერი რატომ
თითონ არ მოვა სანახავადა?

გოდერძ.—საქმე გაუჩნდა, რომელსაც იგი
ვერ მოჰშორდება ჯერჯეროობითა.

ანნა. რა საქმე არის ეგეთი ნეტა?
არ შეიძლება, რომ მეც ვიცოდე?

გოდერძ. თუმც კარგი იყო, არვის გაეგო—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტადრე მცხოვრებთ ამ ქალაქისა;
რადგან ახალი ესე ამბავი
მათს სიხარულსა ნისლით შეჰბურავს...
მაგრამ შენ უნდა იცოდე ყველა...

ანნა. ნეტავ რა მოხდა ეგეთი რამე—
ასე ცოტა ხნის განმავლობაში!

გოდერძ. მე მოკლეთ გეტყვი ყველაფერს; შემდეგ
დანარჩენი კი თითონ განსაჯე. (მიიხედავს ფეფელასკენ)

ანნა. თუ გინდა, ვეტყვი, გარეთ გავიდეს.

გოდერძ. არა უშავს რა—ეგეც აქ იყოს...
(ფეფელას) მხოლოდ კი კრინტი ჯერ არსად დასძრა!

ფეფელა. გავხდე ნატრული ჩემი ქმარ-შვილის,
თუ ხმა—ან კრინტი დავძრა მაგაზედ,
სანამ სულ ყველა არ გამჟღავნდება.

გოდერძ. ჰო... სწორედ სანამ არ გამჟღავნდება...
აი რა არის: თუმც დავამარცხეთ
ჩვენ ოსმალები აქაც და ქვევით—
ალაზნის პირზედა, მაგრამ წყეული
ფაშა გადარჩა და გაქცეული.
ის შირვანის ხანს ჯარით მოიყვანს,
რაღა თქმა უნდა—ბლომა ჯარითაც...
იმათი ჯარი დასვენებული
ომგადუხდელი მაგრა იქნება;
ჩვენი ჯარი კი სულ განახევრდა;
თანაც ძალიან დაქანცულია.—
აბა, ამ ნაირ ჯარითა ბრძოლა—
მგონი, რომ ხეირს ჩვენ არ გვიქადის...

ანნა. მერე და იცით, როდესაც მოვა
ოსმალოს მომხრე შირვანის ხანი?
ნუ თუ სრულიად რამე იმედი,
არ შეიძლება, რომ ვიქონიოთ?

გოდერძ. ჰო—და ჯიმშერიც იმიტომ დადგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ ისევ ჯარში, რომ იქნებ რამე
ღონე იღონოს მომავალ მტრისა
მოსაგერებლად...

ანნა. როდისთვის ელით?

გოდერმ. მგონი, რომ ძლიერ მალე იქნება...
ასე—ჩვენ ველით იმათა—სწორედ,
როგორც შევიტყეთ ზოგიერთისგან,—
ხვალ დილით ადრე—მზის ამოსვლამდის...

ასლან. (წამოიწევს) არა, სტყუვდებით! ხვალ დილამდისა
სულ ყველაფერი უნდა გადაწყდეს...
თქვენთვის ზოგიერთს თვალი აუბამს,
ან თითონ მათაც არა სცოდნიათ.
ისინი თავის მთელის ძალ-ღონით
ამ საღამოთი დაგვეცემიან!
ამ საღამოთი მოხდება ყველა,
რაც უნდა მოხდეს უსაშინლესი!..
ეს ჭეშმარიტად—ნამდვილად ვიცი...
მაგრამ არ შედრკეთ, ნუ შეჰშინდებით,
ისინი ლელოს ვერ გაიტანენ!
თუმც ჯარი ცოტა დაღლილი არის,
მაგრამ დაუღლელს სხვისას აჯობებს!..
წადით ეხლავე, შეატყობინეთ,
რომ მოემზადნენ ბრძოლისთვის ყველა,
თორემ უცაბედ დაგვესხმებიან...

(გადმოვა ლოგინიდან და სუბუქად იცვამს)

შენ წადი მალე, მეც ეხლავ მოვალ...

ანნა. იქ როგორ წახვალ, ავად ხარ, შვილო?
ნუ,—გენაცვალოს დედის თვალები!..

ასლან. არა მიშავს რა; მე ეს ჭრილობა
ვერ დამაყენებს, ხელს ვერ შემიშლის...
მე აქ რა მინდა, რა გავაკეთო,
ტკბილი ოცნებით ვატყუო თავი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგინში ვიწვე არხეინადა,
როცა გარშემო საქმე ბევრია?
როცა ჩემი ძმა და ამხანაგი
თავსა სწირავენ, მტერსა ებრძვიან?..
მე სახლში ვიჯდე და ყური ვუგდო?..
მერე იმათი კიჟინის ცემა
აქ მომასვენებს და დამაყენებს?!.

ანნა. შვილო, შენ ეხლა ძლიერ სუსტად ხარ,
ვერ აისრულებ გულის წადილსა...

გოდერძ. ასლან არ გარგებს ეხლა ადგომა...

ასლან. (გაწუწეტინებს) თქვენა გგონიათ, რომ მე სუსტად ვარ,
თქვენა გგონიათ, ღონე წამერთო,
თორემ მე ისევ მხნედ და მაგრა ვარ,
ისევ ლომისა ძალას ვგრძნობ მკლავში...
თუნდ ეგრეც იყოს და სუსტათ ვიყო,
მე მაინც აქა—ამ ოთხს კედელში
ვერ გავძლებ მეტსა, ველარ დავდგები...
აქ მთლად ჰაერი შეხუთულია,
თითქოს მშხამავდეს, მტანჯავდეს, მკლავდეს...
საბან-ბალიში ხმელს თივასა ჰგავს,
არა აქვს სითბო ჩემთვის ნამცეცი...
მე კედლებ შუა არ ვარ ნაჩვევი,
ჭერი მიქადის თავზედ დაცემას;
აქ ყოველის მხრივ შეზღუდული ვარ,
აქა ვსუსტდები და ვიხუთები...
ჯოჯოხეთია ჩემთვის აქ ჯდომა—
აუტანელი და საზარელი!..
იქ კი... იქ—ველზედ, ბრძოლისა ველზედ—
სული და გული ხალვათად არის,
თავისუფლად ვგრძნობ მე თავსა მაშინ;
ერთი ათასად უფრო ვმატულობ,
ძალ-ღონე კვალად მიასკეცდება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლე იქა უფრო ტკბილია,
ბუნების შვილად ჰგრძნობს კაცი თავსა:
სულ ყველაფერი საამურია:—
მინდვრის ბიბინი... ტყისა შრიალი...
ზედაც ალერსი ნელ ნიავისა,
რომელიც ათრობს კაცს თავის ეშხით,
ოფლიანს შუბლსა ტკბილად უგრილებს.
მინდვრად ბანაკი უზარმაზარი
თვალგადუწვდენელს ზღვასავით ღელავს...
კარვები კოხტად წამოჭიმული...
ურმები ბარგით დატვირთულები,
აქა-იქ ბოლი სვეტად ცას მიდის,
ჯარი რაზმებად—დასად დაყოფილ
მზათ დგას გაშალოს მძლავრი კლავები
წინააღმდეგის შესამუსრავად...

(თითქოს რაღაც ხმაურობას მოჰკრა ყურიო)

ჩუ... ყური უგდეთ.. კიდეც დაიძრა...
აგერ ჯიქურად მტერს მიეტევნენ...
ცხენთა ფეხისგან კორიანტელი
და თქარა-თქური შესაზარავი...
მეომართა ხმა,—მძლავრი კიჟინა...
თავზედ გადადის ტყვია ზუზუნით,—
დაკოდილისა მწარე კვნესაცა—
ერიამული და ათასი ხმები
სულ ერთმანეთში არეულია...
აგერ სულ მალე გაიმართება
ხელჩართული და მედგარი ომი!.
ვაი იმასა, ვისაც არ ძალუძს.
წინ გადაუდგეს ამ ძალთა ძალსა!..

(განცვიფრებული შეჰყურებენ)

ანნა. რა ვქნა... რა მოსდის, რა ემართება?..
ასლან. დიახ, ჩვენც გვმართებს გასალკლდევება,

ვაჟკაცურადა და მხნედ დაუხვდეთ;
არვინ გაბედოს ზურგის ჩვენება...
აბა, გავმაგრდეთ, არ შეუშინდეთ!..

გოდერძ. მაგრათ ვართ, ასლან, ნუ გეინიან!..

ასლან. ძალიან კარგი! საჭიროც ეხლა
მხოლოდ ეგ არის... მტერი გვეწვია,
თავსა დაგვესხა...

გოდერძ. სად არის მტერი?

ასლან. როგორ თუ სადა? მაშ არ გესმოდა;—
მტერი ქორულად კიდეც დაგვეცა!
ის კიჟინა და არეულობა
მაშ ვისგან მოხდა, სხვამ ვინ გაბედა?..

ანნა. რა ვქნა, რომელი არეულობა..
სწორედ ჭრილობის ბრალია ესა...

ასლან. მარტო ესენიც საკმარისია,
სხვა ყველაფერი მეტი ბარგია...
(ალტაცებს ფარსა და ხმალს, წინ ედობიან,
მაგრამ გაუსხლტებათ და წავა) ნუ მელობებით!

ანნა. გოდერძ, გენაცვა,
უკან გაჰყევი და ყური უგდე...

გოდერძ. მაგაზე რალა შენი თქმა მინდა...

შემოდის სალომე.

სალომე. (აღშფოთებული) გენაცვათ, მალე იარაღს ხელი,
თორემ ურჯულო კიდევ მობრუნდა!..

გოდერძ. როგორ, სალომე, მტერი მოვიდა!

სალომე. დიახ, ბატონო... ეს არის ეხლა
ხალხში გავრცელდა ეგ ხმა ელდისა.

გოდერძ. აკი ასლანსა მართალი უთქვამს!.. (გავა)

სალომე. რა უნდა ვუყოთ, როგორ მოვიქცეთ?..

ანნა. მაგას რა დიდი ფიქრი ღა უნდა,.
ჩვენც შემოვირტყათ ბასრი ხანჯლები,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უკან გავყვეთ ჩვენს ტკბილს შვილებსა...
(ხანჯლებს შემოირტყამენ და გავლენ)

ფეოფილა. რა მხნე-გულადი დედაკაცია!..

სცენა II

ბრძოლის ველი; ცალმხარეზედ მოსჩანს ტეიანი ფერდა, რომელიც სტენის უკანა მხარეს უხვევს და იკარგება ტიხის უკან, რომელიც მეორე მხარეს კარგა მოშორებით მოსჩანს; სტენის უკანა მხარეც ტეიანია, შიგა და შიგ ბუჩქნარი.

შემოდიან ისკანდერ და ქიტა.

ქიტა. მაშ, ვერ შეიძლეთ იმის დაჭერა?

ისკანდერ. ბევრი წავაგეთ, რომ ვერ შევიძლეთ;
ისე უცაბედ გაგვიძვრა ხელში
ეშმაკის გერი, როგორც რომ მურწა.

ქიტა. მერე და განა საშიში არის?

ისკანდერ. საქმე ესეა: ის რომ წავიდა,
გზაში შეჰხვდება შირვანის ხანსა,
რომელიც ჯარით მოედინება;
აი, იმის ჯარს გამოუძღვება
და ხელმეორეთ თავს დაგვატყდება...

ქიტა. შირვანის ხანსა აქ რა ხელი აქვს?
აქეთ რა უნდა? განა არ ახსოვს
ის დღე იმასა, ერთხელ რომ კუდით
ქვა ვასროლინეთ და კიდევ ჰბედავს?..

ისკანდერ. ის როდი მოდის თავის ნებითა...
არა; როდესაც დაიპყრო ფაშამ
შაქი-შირვანი, მაშინვე თურმე
უბრძანა, რომ ის თავისის ჯარით
მოჰშველებოდა აქ—კახეთშია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ორნივე გაყოლებაზედ
მთელს ქვეყანასა ააოხრებდნენ.
ჰო და ეხლა ის შირვანის ჯარი
გზაზედ იქნება, მოედინება,
და გაქცეული აქედგან ფაშა
სწორედ წინ იმათ შეეხეჩება.
გამოუძღვება, რაღა თქმა უნდა,
და რაც დაკარგა, იზღას, ეცდება.

ქიტა. როდის ამოვა, ხვალ დილაზედა?

ისკანდერ. ასე ვიცი, რომ დღეს საღამოთი
აქ უნდა იყოს ბრძანების გვარად;
მაგრამ რადგანაც ფაშა შეჰხვდება
და შურის გებას დაეჩქარება,
ამიტომ უფრო, უნდა ვიფიქროთ,
დანიშნულს დროზედ ადრე გაჩნდება...
ის, შეიძლება, ეხლაც მახლობლად
იყოს აქ სადმე ჩასაფრებული...
თუ არ გავფთხილდით, უცებ დაგვესხმის
და წაგვიხდება ამდენი ოფლი...
უნდა წავიდეთ, შევატყობინოთ
ჯიმშერს, რომ ჯარი მზათ დაიჭიროს.

ქიტა. განა შირვანელს იმდენი ჯარი
ეყოლება, რომ საშიში იყოს;
მეტადრე როცა ჩვენ მოგვემატა
ალაზნის პირის და შენი ჯარი?

ისკანდერ. შემიძლიან ვსთქვა დარწმუნებითა,
რომ ბლომადა ჰყავს შირვანელს ხალხი.
ჩვენი ხალხი კი, რაც გადაგვირჩა,
სასტიკის ბრძოლით მოწყვეტილია.
და უნდა გითხრა, რომ გარჯილობა,
მკლავის ძალაცა ეხლა გვჭირია;
თუ ერთი ეხლაც ჩვენ გავიმარჯვეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშიში მერე არაფერია!—
მართლა, ასლანი—ჯიმშერის შვილი—
ან საით არის, ან როგორ არის?

ქიტა. მგონი, საწყალი ომში დაიჭრა,
უწევთ სახლშია და დედა უვლის.

ისკანდერ. ეჰ, ეგ კი ცუდი ამბავი მითხარ...
ის უნდა იყოს ჯარის სარდალი,
რომ შირვანელსაც და მისს ფაშასაც
ვასვათ სიკვდილის მწარე წამალი.

ქიტა. განა ჯიმშერი ვერ გაგვიძღვება?,.

ისკანდერ. რატომ ვერ; მაგრამ ასლანმა იცის
იმათი ხერხი და ოინები...
წავიდეთ მალე, ჯიმშერს ვაცნობოთ,
რაც საჭიროა, რომ მოამზადოს.

(გავლენ; შემოდის **ოთხი ქართველი** ბირდაბირ
სცენის სიღრმეში ტყიდან)

ბირველი. შენ არა გჯერა? ჩემი თვალითა
ვნახე, და ისე ვუყურებდი მათ,
როგორც რომ ეხლა მე შენ გიყურებ.

მეორე. ეგრე ახლო რომ ჰყოფილიყავი,
ხომ მელასავით ტყავს გაგაძრობდნენ!

ბიველი. მართალი არის, არც ეგრე ახლო...
მაგრამ შორიდან კარგათ გავსინჯე...

მეორე. რომ თათრის ჯარი აქეთკენ მოდის?

ბირველი. სწორეთ. თუ კიდევ ჩემი არ გჯერა,
ცოტა დაიცა და მაშინ ჰნახავ...

მეორე. რალასა ვნახავ... აქ გვყვანდეს ჩვენი
ჯიმშერ ბატონი, თორემ თათრების
შემეშინდება? ან ეს რათ მინდა? (**მარჯვენას უჩვენებს**)

(ისმის ხმაურობა და კიჟინა)

ბირველი. აბა, გაჰხედე, რა ამბავია!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკი ვტყუოდი... მაშ ვინ არიან,
თუ არ თათრები?...

მეორე. შენ მართალი ხარ!
ეგ ურჯულონი როგორ ქურდულად—
ჩუმად დაგვეცნენ...

პირველი. ჩვენები რა რიგ
გამოიტაცეს!..

მეორე. აქეთ მოდიან...
აბა, ჩვენც, ბიჭო...

პირველი. თავსა ვუშველოთ...

მეორე. აბა, წამოდი, უნდა ვიბრძოლოთ (კაკლებ)

ხმაურობითა და ფიცით შემოდიან ქართველები ტიხის მხრიდან, უკან მოსდევენ თათრები—მათ შორის ფაშა, ქართველები მედგრად იბრძვიან, ჯიმშერის თაოსნობით.

ჯიმშერ. გამაგრდით, ძმანო, ჩვენს საცხოვრებელს,
თავისუფლებას ნურვის დაუთმობთ!

ფაშა. მაგრა დაჰკარით ამ გიაურებს!..
ეცადეთ, აგებ ტყვედ დაიჭიროთ
მაგათ სარდალი, აბა ეცადეთ... (ჯიმშერს ეტანებიან)
მაგათ ვაჩვენებ, კიდეც ვასწავლი,
როგორ კარგია განდგომილება,
ბატონის ქიშპი—მოდალატობა!..

(ფიცით კაკლებ, შემოდიან **ისკანდერ** და **ქიტა**)

ისკანდერ. მე რომ ვსთქვი, სწორედ ისე ასრულდა...

ქიტა. აკი რომ სწორედ ისე ასრულდა!
ველარაფერიც ვერ მოვასწარით...

ისკანდერ. ეხლა მე წავალ ჩემი ჯარისკენ,
რომ მოვაშველო აგები მალე... (კაკლებ)

(**ბატარა ხანს სტენა ცალიერია, მერე შემოდის ასლან, შემდეგ მეომარი**)

ასლან. ოჰ, რა მსუბუქად-კარგად ვგრძნობ თავსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს მესხასო არწივის ფრთები!..
გული მეწევა ბრძოლის ველისკენ,
და მკლავს ძალისა გამოჩენა ჰსურს!..
(შემოდის ერთი მეომარი შეშინებული, ხელში ხანჯალი უჭირავს;
ასლან იმას რომ დაინახავს, მიუბრუნდება)
სად მიხვალ ამ დროს, ბრძოლა სად არის?
მეომარი. აი აქეთკენ (უჩვენებს მარჯვნივ)
ასლან. მაშ, შენ იქიდან
რათ წამოჰსულხარ? ძმებსა ჰღალატობ?
შიშმა მუცელი თუ აგატკია!?.
მეომარი. მოდი და შენც ნუ შეგეშინდება...
ის იმოდენა თათრების ჯარი
როგორც კალია ისე დაგვედო...
ასლან. მერე და განა მზათ არ იყავით?
მეომარი. ის იყო, მაშინ ვემზადებოდით;
ჯიმშერიც თავის ქალს კითხულობდა,
სად არის და ან როგორ არისო...
თურმე ისიც კი ომში ყოფილა!..
ასლან. როგორ თუ ქალსა? იმას ქალი ჰყავს!?.
მეომარი. ჰყავს მაშა! ნინო იმის ქალია,
იმისი შვილი... ვაჟიც იპოვნა..
ასლან. (ზარდაცემული) შენ სტყუი მაგას... ეგ არ იქნება...
მეომარი. რა მოგება მაქვს, რომ მოგატყუო...
ასლან. ნინო ჯიმშერის ქალიშვილია!?..
ოჰ, ჯოჯოხეთო, ცხოვრება გქვიან?!..
(ბრაზმორეული თავს შეიკავებს)
კარგი, მითხარი, რა მოხდა შემდეგ?
მეომარი. მერე და უცებ დაგვეცა მტერი...
ჯერ ჩვენი ხალხი მარჯვედ დაუხვდა;
მაგრამ სარდალი რომ დაგვიტყვევეს,
მაშინ კი ყველას გული გაუტყდა...
ასლან. ნუ თუ ჯიმშერი?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჯმარი. დიახ, სწორედის.

ასლან. ვაი შენს ასლანს!.. მაშ ქართველები
დამარცხდნენ სრულად, მტერს გამოექცნენ?..

მეჯმარი. დიახ, გაიქცნენ... აგერ აქეთკენ
რა რიგ მორბიან შეშინებულნი.

ასლან. (მწარედ). მორბიან, დიახ... ველარ მოუსწარ,
საქმე კიდევაც გაბრუნდებულა...
(მკაცრად) მაშ რალად მინდა თავი ცოცხალი,
თუ შირვანელსა ამას შევარჩენ!
(შემოდის მთელი გრუზა ქართველი ჯარისა ირეული)

ასლან. შესდექით ყველა!.. რა რიგ გიხდებათ
ეგრე არეულ რაზმად გაქცევა!..
რათ დაანებეთ თავი ბრძოლის ველს,
მტერს რათ უჩვენეთ ზურგი მხდალადა?..
ეგ არ შეგშვენით ცოლ-შვილის პატრონთ,
დედულ-მამულის მომუშავეთა!..
ეხლა ხომ მტერმა სრულად აგვიკლო,
გაანადგურა ყოველიფერი...
ხომ სულ გაგვეცლიტა დიდი პატარა,
კაცი და ქალი, უტყვი, მეტყველი!..
აგვიხდის ნამუსს ცოლსა და დებსა...
მოგტაცებთ პატრა საყვარელ შვილებს,
წაიყვანს, აღზრდის თავისს რჯულზედა,
დაუხშობს ყველა მშობლიურს გრძნობას,
იმათ მრისხანე მეომრად აქცევს;
მოიყვანს მერე თქვენსავ მამულში
და აგამტვერებთ თქვენივ შვილებით!..
მარტო ამასა როდი გვაკმარებს...
სოფლებს-ქალაქებს ცეცხლის ზღვად აქცევს,
ვენახებს-ყანებს ფეხით გასთელავს;
ჩვენს ოფლს და ჯაფას დაისაკუთრებს;
ამდენს ჭირნახულს, ნაწვავ-ნადაგსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლს წაუკიდებს, ნავთს გადაასხავს..
ჩვენი სამშობლო, ჩვენი მამული
სხვისა გახდება, სხვა დასახლდება,
გავხდებით მონად ოსმალოების,
სისხლს ამოგვწოვენ წვეთ-წვეთად, ნელა..
გავხდებით გლახა და მაწანწალა,
ლუკმა პურისთვის კარზედ მდგომელი..
მერე ეს მხარე—სამოთხის ცალი.
ჩკენ წინაპართა სისხლით მორწყული,
იმათის ძვლებით მთლად მოკირწყლული,
ნუ თუ სხვის ლუკმა უნდა გავხადოთ,
დაუთმოთ სხვასა—ხელი ავიღოთ!?..
არა, მოძმენო! მაგას ნუ ვიზამთ,
ნუ დავიმცირებთ მანდამდის თავსა!..
მამაპაპური წმინდა ანდერძი
მტკიცეთ დავიცათ,—სირცხვილს ნუ შევჭამთ!
ყველას შუბლზედა უნდა გვეწეროს:
მონურს სიცოცხლეს სიკვდილი გვიჯობს!..
იმედიცა მაქვს, მტერს დავანახვებთ,
თუ როგორ უნდა ბრძოლა-სიკვდილი
მამულისა და სახელისათვის!..
აბა, მაშ ძმანო, წავიდეთ მხნეთა,
ყველამ ერთგულად დავიკეთ კიჟინა,—
და მაშინ ჰნახავთ, თუ თათრის ჯარი
გაუმაგრდება ჩვენს სალის გულსა!..

ჯარი. (ადშოთებული) გაგვიძეღ, მოგდევთ, ყველა თავს დავ-
დებთ;
მონურს სიცოცხლეს—სიკვდილი გვიჯობს!..

ასლან. (ხმალს ამოიღებს) აი მივდივარ, ვინც ჩამოგვრჩება,
ქვეყნის მტერია და მოძმეთ მკვლელი!..
(ისმის ოსმალების მოახლოება)

ზოგიერთნი. აგერ თათრები მოგვიახლოვდნენ.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასლან. — თავს ნუ დავზოგავთ, მხნეთ, წინ-წინ ძმებო!
ან გამარჯვება, ანუ სიკვდილი!.. (მიდის)

ჯარი. (ალელვებული მიმავალი) ან გამარჯვება, ანუ სიკვდილი!..
(გაქცევა)

გამოდის **გოდერძი** აჩქარებული.

გოდერძი. ოჰ, ღმერთო ჩემო, ნუ თუ ეს ხალხი
ასლანმა მარტომ მთლად გააბრუნა?!.
ან აქ რათ იყო დაგუბებული,
ან ეგრე მსწრაფლად საით წავიდა?
აბა წავიდე, სწორეთ გავიგო... (გავა)

შემოდიან **ნინო** და **ქალთამზე.**

ქალთამზე. შენ, როგორც ამბობ, მის გვერდით იყავ,
მაშ მერე როგორ დაჰშორდი ასლანს?

ნინო. მის გვერდით ვიყავ, მაგრამ ერთს ოსმალს
გამოვეკიდე მოსაკლავადა;
ის კიდევ ცალკე ცხარედ იბრძოდა;
ამ დროს ერთბაშად მოაწყდა ჯარი,
სულ აირია იქაურობა...
ბრძოლა გაცხარდა, ღელვა დაიწყო,
ტალღა ტალღაზედ გადადიოდა
და შორს გაჰქონდა კერძო ცვარები,..
მეც ამის გამო დავშორდი ასლანს,
სხვა მხარს მოვექეცი, ველარ ვიპოვნე...
მკვდარი მეგონა... მაგრამ ბოლოს კი
მითხრეს, დაჭრილი ველად ეგდოვო,
მერე ვილამაც უპატრონა და
საწამლებელად შინ წაიღოვო...
რაც ეს გავიგე, აღარ მაქვს გული
არც ომში ყოფნის და არც ბრძოლისა...
ახ, ნეტავი მაინც გამაგებინა,
ვინ წაიყვანა და ან სად არის,
რომ ვნახო ერთი და იმ ნახვითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუმსუბუქო ჭრილობის ალი!..

ქალთამზე. ნუ გენაღვლება, კაი პატრონის
ხელში იქნება და მოარჩენენ...

ნინო. ვინ არის მერე?

ქალთამზე. განა არ იცი,
რომ დედაშენი დედაჩემითა
აქ ბრძოლის ველზედ წამლით დადიან
დაჭრილებისა მისაშველებლად?

ნინო. ეგ არ ვიცოდი, თუ კი ეგრეა,
დედიჩემისა კეთილი გული
ყველა წამალზედ მკურნალი არის...
მართლა, შენ, ქალო, ვერსადა ჰნახე
შენი ისკანდერ?..

ქალთამზე. ჯერ ვერსად ვნახე; მაგრამ კი მალე
მგონია, ვნახავ, და ეს ხანჯალი
მისი ნახმარი — ჩემს ამბავს ეტყვის...
ნინო, აგერა ანნა, სალომე...

ნინო. (საყვედურით) აკი დაჭრილებს აქ უველიანო?
მაგათ ხანჯლები წელს შემოურტყავთ

შემოდიან **ანნა** და **სალომე.**

სალომე. ოჰ, გენაცვალეთ, ქალ-ვაჟკაცებო!..

ანნა. მადლობა უფალს, რომ უვნებლად ხართ,
ჩემო გვრიტებო! (გადაეხვევა ნინოს, მერე ქალთამზეს)
ხომ არაფერი
გაგჭირვებიათ?

ნინო. სულ არაფერი.
პირველად თუმცა გვეძნელებოდა,
მაგრამ თან და თან შევეჩვიენით.

ანნა. მაშ, თუ ეგრეა, აქ რას აკეთებთ?

ქალთამზე. ცოტა ჩამოვრჩით, ჯარმა გაგვასწრო,
ისევ კი მალე უნდა წავიდეთ.

ანნა. ასლანი გზაზედ ხომ არ გინახავთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქეთკენ უნდა მას გამოევლო,
რადგანაც ომი ამ მხარეზედ სჩანს.

ნინო. (ტოტა ადელვებული) ასლანი? არა, ჩვენ ვერა ვნახეთ...
აკი თქვეს, იგი დაჭრილიაო
და სადღაც სახლში წაიყვანესო?

ანნა. ეგ მართალია, დაჭრილი არის
მოსარჩენადაც ჩვენ წავიყვანეთ;
მაგრამ ლოგინში ვერ დავაყენეთ,
რაკი გაიგო მტრის მობრუნება...
ეხლა არ ვიცი, საით წავიდა,
სად რას იქნება, ან როგორ არის...

ნინო. განა ჭრილობა საშიში არის?
იქნებ მარტოკა არ გაიშვება?..

ანნა. არა, არც ისე საფიქრელია,
მაგრამ ღონეზედ სუსტად კი არის;
რაღა თქმა უნდა, ომში იქნება—
და ჩვენც იქითკენ წავიდეთ ყველა,
რომ ყური ვუგდოთ, სიფრთხილით იყვნეთ.

საღამე. ჩემი ისკანდერ ხომ აქ იქნება,
მგონი მოსულა ალაზნის ჯარი!..

ქალთამზე. მოვიდა... მაგრამ როგორ თუ შენი?..
ჰო, ვიცი, ვიცი... ქართველი არის
და მიტომ ეხლა შენსას ეძახი!..

საღამე. არა, შენმა მზემ, მარტო მაგიტომ
როდი ჩამეჭრა იმის სახელი;
ის არის ჩემი შვილი ლევანი—
შენი უფროსი დაკარგული ძმა,
რომელიც წინათ ოსმალთ მოგვტაცეს...

ქალთამზე. (განცვიფრებული) როგორ? ისკანდერ ჩემი ძმა არის,
ჩემი ღვიძლი ძმა და შენი შვილი?!..
თითქოს ბნელაში სხივი მესტუმრა,..
გულსა ნათელი სვეტად დამადგა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისი ნახვა გულსა სწყუროდა
ალბათ ამისთვის, მე კი ვერ მივხვდი...
შენ გენაცვალე, დედილო, შენა... (ეხვევა)

ანნა. (ნინოს) შენ რალას იტყვი, ჩემო სინათლე,
როგორ გგონია, ვინ არის ასლან?

ნინო. მხოლოდ ის ვიცი, რომ ქართველია;
სხვა მეტი მაზედ არა ვიცი რა...

ანნა. მაშ, შვილო, ეხლა მე გეტყვი სწორეს:
ასლანი კიდევ შენი ძმა არის,
ჩემი შვილია და ჩემი სისხლი...
სასწაულითა ცოცხალი არის,..

ნინო. (ზარდაცემული) როგორ? ასლანი ჩემი ძმა არის?
ნუ თუ ეგ სიტყვა მართალი არის?
არა, არ მჯერა, სხვა რაც გინდა სთქვი,
მაგას კი მეტად ნუ გამაგონებ!..

ანნა. ჩემს სულსა ვფიცავ, მართალი არის!
რატომ არ გჯერა? ნუ თუ ასლანსა
შენი დაძმობის ღირსად არა სთვლი?!
რა მოგვიდა? ფერი რათ მიგდის?..

ნინო. (თავს შეიკავებს) ოჰ... არაფერი... მოულოდნელი
სიხარულისგან, მგონია, მომდის...

სალომე. მეც არ მეგონა, რა მოხდა მეთქი!

ნინო. მაშ, მე წინ წავალ, რომ ყური ვუგდო—
ჩემს საყვარელს ძმას... ჩემს ძმას... ასლანსა!..
(მიმავალი ცალკე)
ჩვენი პირობა?.. ან იმედები?!..
ოჰ, მომეწამლა მთელი სიცოცხლე...
(უცებ რადაც აზრი გაუელვებს)
შერცხვენილს ღვთის და ხალხის წინაშე
სიცოცხლე განა ჩალადღა ულირს?..
(მსწრაფლად გავა)

ანნა. ქალო, ქალთამზე, სწორედ მითხარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს ნინოს თავსა რა აძბავია?
არ დამიმალო, თორემ გავიგებ
და, ვფიცავ, მაშინ არ გახეირებ...

სალოშე. უთხარი, შვილო, თუ იცი რამე,
არ დაუმალო, დედის ნუგეშო!

ქალთამზე. არ ვიცი, ვფიცავ, რა მოუვიდა,
ან ეგრე გახდა რა მიზეზითა...
მაგრამ ხომ თითონ გითხრათ, რაც იყო?
განა არ იცით სიხარულისგან
კაცს შეიძლება რა დაემართოს?

ანნა. ჰა, ნუ მატყუებ, ნამდვილი მითხარ?

ქალთამზე. რა ვქნა, არ ვიცი და რაღა გითხრა!
ნეტავ ვიცოდე, არ დაგიმალო...
იქნება მართლა სხვაც იყოს რამე,
ჩემთვის არ უთქვამს, არ გაუნდვია.

სალოშე. განა არ იცი, რომ იცოდეს რამ,
არ დაგიმალავს შენი ქალთამზე...
თუ იცოდეს და არ გითხრას, მაშინ
გაუწყრეს მაგას წმინდა პირიმზე —

ქალთამზე. (ცალკე) უჰ, იწყევლება! მაგრამ არ ვიტყვი,
გინდ შემარისხონ თვით იესოსა... (იმათ)
ამინ. რა ვუყო, ჭორს ხომ ვერ გეტყვით...

ანნა. კარგი, შენ იქნებ მართალი იყო;
მაგრამ მაინც კი, ვფიქრობ, იმის თავს
უთუოდ რაღაც უჩვეულოა.
აბა, წავიდეთ, ჩვენც მივეშველოთ. (გავდენ)

(გამოჩნდება ოსმალო, რომელიც მალე ისევ ბუჩქებში მიიმალება, რადგანაც დაინახავს ისკანდერს, რომელიც ოსმალებს მოსდევს ურაზმოთ, — ცოტა ხანს უკან თავს დაანებებს)

ისკანდერ. ეს ერთი ფრთა ხომ შემოვაგლიჯე, —
დანარჩენებსაც არ ვახეირებთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს გული რაღასაც ჩქროლავს...
გულში რაღაცა გრძნობა ფუტფუტებს,
ძლიერად ასრე მაშ ის მაწუხებს?
მაგრამ რათ მინდა, მას ვუყურებდე!?

(ამ დროს უკანიდან ისკანდერს ჩასაფრებული ოსმალო ეპარება მოსაკლავად. მაგრამ იმას კიდევ უკან ფეხდაფეხ მოსდევს ქალთამზე ხანჯლით ხელში; ოსმალო მიუახლოვდება ისკანდერს, ის კი ვერ ჭხედავს; რომ დაეპირების ხანჯლის დაცემას, ქალთამზე დაასწრობს და ოსმალო იქვე დაეცემა. უკანასკნელს წუთს მოახედავს ისკანდერ და დაინახავს, რომ სიკვდილს გადარჩინეს)

ისკანდერ. ოჰ, ღმერთო ჩემო; ეს როგორ მოხდა,
რომ მე სიკვდილსა ბეწვზედ გადავრჩი
და ვერ გავიგე, რა მომელოდა!..

ქალთამზე. ნუ გეშინიან, დათესილს კეთილს
ყოველთვის მოაქვს ღირსი ნაყოფი...
აი ხომ ჰხედავ, ეს ხანჯალია,
რომელიც ერთხელ შენ მე მომეცი,
და, თუღა გახსოვს, დაგპირდი მაშინ,
სამაგიეროს მოგიზღავ მეთქი...
აი ეს არის, მოვრჩი შენს ვალსა!

ისკანდერ. ნუ თუ შენა ხარ ის მშვიდი გვრიტი,
რომელიც მაშინ ტყვე ქმნილი იყო?
ეხლა იქეცი მეოდგარ მეომრად,
რომ ჩემს სიცოცხლეს გაჰხდოდი ფარად...
ეს ნიშანი რომ არ ყოფილიყო,
მე ხომ მაგ ამბავს არ ვირწმუნებდი!..

ქალთამზე. ჰო და მეც მაშინ სწორედ მაგისთვის
წავიღე ნიშნად ესე ხანჯალი...

ისკანდერ. მაშინდელს აქეთ ეგ შენი სახე
მეც ნიშნად იმის მქონდა გულშია;
შენი მძივი მაქვს გულთან უბეში,

ვუფრთხილდებოდი როგორც თვალის ჩინს,
როგორც დიდებას ჩემის თავისას...
შენ ჩემი თითქოს მახლობელი ხარ,
შენკენ მოიწევს ეს ჩემი გული...

ქალთამზე. ეგ იმიტომა, ჩემო ისკანდერ,
რომ შენ ხარ ჩემი ღვიძლი ძმა—ლევან!

ისკანდერ. (**თითქოს კამოჰფხიზლდა**)
შენ ჩემი და ხარ?.. მე შენი ძმა ვარ?.
რას ამბობ მაგას, საიდან, როგორ?..

ქალთამზე. ქალი შვილი ვარ მე სალომესი...
ეს არის ეხლა მითხრა დედამა,
რომ ისკანდერი შენი ძმაოო,—
და სიხარულით აღარ ვიცოდი,
როგორ და საით გამომეძებნე!..

ისკანდერ. მართლა შენა ხარ ჩემი ტკბილი და!..
ოჰ, ცავ და მიწავ; შენც შრიალა ტყევ,
თქვენც გაიხარეთ ჩემთან ერთადა;
თქვენ გიზიარებთ ჩემს სიხარულსა...
დაცა მყოლია, მარტო არა ვარ!
ბედნიერებში მეც მიძევს წილი!..
მოდი, დაძმურად გადავეხვივნეთ. (**გადაეხვევიან**)
(**შერე თურქს დაჭხედავს ისკანდერი და იცნობს**)

ისკანდერ. საყვარელო და სასურველო დავ,
ვით მოახერხე შენ ამის მოკვლა?

ქალთამზე. ეგ შენთვის მგონი სულ ერთი არის...
აი შენ მითხარ, ასლან სად არის,
და ან როგორა?

ისკანდერ. ასლან ომშია.

ქალთამზე. ნინო ხომ არსაღ არ შეგხვედრია?

ისკანდერ. არა, რა იყო, რათა ჰკითხულობ?

ქალთამზე. განა არ იცი, ნინო ასლანის
ღვიძლი და არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისკანდერ. უჰ... თუ ღმერთი გწამს?

ქალთამზე. დაძმობას ვფიცავ.

ისკანდერ. მერე და იმათ
ხომ ერთმანეთი მგონია, უყვართ!..

ქალთამზე. უყვართ კი არა და მეტიც არის...

ისკანდერ. როგორ?

ქალთამზე. ერთმანეთს პირობა მისცეს
საუკუნოთა შეერთებაზედ,
ღვთის წინ ბეჭდებიც გამოიცვალეს!..

ისკანდერ. ოჰ, ეგ რა... ეგ რა ჩაუდენიათ!..
მაგრამ რა გინდა, ეხლა რა ვუყოთ?

ქალთამზე. წადი ასლანთან, ყველა უთხარი—
და გაუფრთხილდი, სხვა თითონ იცი...
მე კიდევ წავალ, ნინოს მივხედავ,
რომ არაფერი იმზნიოს; თორემ
ისე ეწყინა მას ეგ ამბავი,
თითქოს თავის ძმა კი არ ეპოვნოს,
არამედ ეხლა დაჰკარგოდესო...

ისკანდერ. კარგი, შენ წადი და მეც ვეცდები.. (ქალთამზე გავა)
(ისკანდერ დგას დაფიქრებული, ბოდის)
ეს რა ამბები ხდება ამ ქვეყნად,
რა საზარელი შემთხვევა არის!..
ძმას შეუყვარდა თავის ღვიძლი და,
პირობას სდებენ ღვთისა წინაშე!.
ოხ, ღმერთო, ღმერთო, რა არ მოხდება!..
(ისკანდერ წასვლას დაპირებს, შემოდის **გოდერძ**)

გოდერძ. ოჰ, გამარჯვება შენი, ისკანდერ,
საითკენ მიხვალ?

ისკანდერ. ისევ ბრძოლისკენ.

გოდერძ. ომი თითქმის რომ მოგებულია.
ასლანის სიმხნით, ჭკუით და სიტყვით
დღეს ჩვენს ქვეყანას სწორედ ეშველა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლად დაქსაქსული ცხვარივით ხალხი
შემოიკრიბა, ჩაჰბერია ძალა,
გაუძღვა წინა, მტერი აბრუნა;
ჯიმშერიც იხსნა ტყვეობისგანა
და მასთან კიდევ მთელი მხარეცა!.

ისკანდერ. ჯიმშერი იხსნა?

გოდერძ. დაიხსნა მაშა!.
ჯიმშერი უკან გამოეკიდა
გაქცეულ ფაშას ვით ქორი მწყერსა;
არ გაუშვებო იმას აქედან,
აქვე შევბოჭავ, აქ დავალპობო;
ასე იძახის მრისხანე ჯიმშერ.—

ისკანდერ. თითონ ასლანი?

გოდერძ. ასლანი კია —
ასეთი გმირულ საქმის ჩამდენი,
ჩვენი მხსნელი და გამხარებელი-
ველარ ვიპოვე, თუმცა ვეძებე;
მე ალარ ვიცი, სად იმყოფება.
ალბათ თუ მძიმედ დაიჭრა ომში,
იქნება სადმე ხის ძირას იწვეს,
დასუსტებული ძლივსლა ჰფეთქავდეს,
და მომვლელი კი არავინ ჰყავდეს!..

ისკანდერ. მაგას რას ამბობ? მართლა ეძებე
და ვერ იპოვნე? ღმერთო მაღალო,
ნუ გაიმეტებ ჩემს ტკბილს ძმობილსა,
ჯერედ ცხოვრებით გაუხარელსა!
ნუ თუ ის ცოდვა ვერ იპატია
თავის განწირვით— მამულის ხსნითა?..

გოდერძ. რა ცოდვა არის?

ისკანდერ. მაგრამ ის ცოდვა
არ ცოდნისაგან არის შობილი.
რა ცოდვა? ასლანს და მის ღვიძლს დასო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთი რომ არა სცნობიათ,
ცოლ-ქმრობის პირი შეუკრავთ ღვთის წინ—
და ბეჭდებიც კი გამოუცვლიათ!

გოდერძ. (შემკრთალი) მართლა? უჰ.. ღმერთო... ეგ რა მოსვლიათ?

ისკანდერ. მხოლოდ არავის გაუზიაროთ.

გოდერძ. განა არ ვიცი, აბა, რას ბრძანებთ!

ისკანდერ. წამო, წავიდეთ, მალე ვიპოვნოთ
უნებლიეთად შემცოდებელი,
გამოვაბრუნოთ და ვანუგეშოთ,
თორემ იქნება ამ ამბისაგან
გულზედ მოსულმა იწყინოს რამე.—(კაკლეს სიჩქარეთ)

(მტირე ხანს უკან **ასლანი** გამოჩნდება უკანამხრიდან ბუჩქნარში, დასუსტებულია, მხოლოდ დადლისაგან, ფერმკრთალად არის, ნელნელა მოდის; ჯერ ისევ ბუჩქნარებშია, რომ ამბობს:)

ასლან. როგორც მდიდარს კაცს, ქონებით სავსეს
დაეცნენ ღამის ავაზაკები,
სულ მთლად წაართვან საბადებელი,
მას დაუტოვონ მხოლოდ კონკები;
ეგრეთვე სწორედ მე მომივიდა,
იმის მაგალითს მე წარმოვადგენ!
გუშინ ძალ-ღონით სავსე ვიყავი,
არად მიმაჩნდა რკინის დაკვნეტა;
დღეს კი—ეხლა კი? ძლივსღა ვაბიჯებ,
ძალამ მიმტყუვნა, გავხდი გლახაკი... (ბუზა)
ნეტავი ერთი გამაგებინა,
ნინომაც იცის ჩვენი დაძმობა?
ნეტავ რას ჰფიქრობს, ანუ რას ელის?..
ოხ, რა ბედკრული ხალხი ვყოფილვართ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

(თან და თან წინ წამოვა ცალ-მხარეზედ, ამ დროს შემოდის ნინო, ისიც მისუსტებული, ფერ-მიხდილი, დადონებული, ტანჯვა იხატება იმის სახეზედ. ის მარჯვენა მხრით შემოდის, ჯერ ფერა ჭსდავს ასლანს და ამბობს:)

ნინო. ახ, ნეტავ ერთხელ კიდევ მენახა,
უკანასკნელად მივსალმებოდი...
ჩვენი შეცდომა გამოგვეყიდნა,
ცრემლით, ვედრებით გამოვთხოვნოდი!..

(უცებ დაინახავენ ერთმანეთს ორნივე ერთს დროს; ჯერ შეკრთებიან; მერე პირველად ნინო შეჭვიერებს „ძმაო“ და გაექანება ასლანისაკენ, ისიც წინ მოეგებება შეძახებით „დაო“ და ქვითინით ერთმანეთს ჩაეკონებიან, კარგა ხანს ასე იქნებიან. მერე განშორდებიან)

ასლან. (შეკავებულის ტირილით) შენ ჩემი და ხარ? ჩემი ტურფა და?
ჩემი სიცოცხლე, გამხარებელი?

ნინო. (აგრეთვე) ჰო, შენი და ვარ.. შენ ჩემი ძმა ხარ...

ასლან. ჩვენი პირობა და ჩვენი ფიცი?
წყალმა წაიღო, ცეცხლმა დაჭბუგა!

ნინო. ოჰ, ძმაო, ეგ მკლავს, ეგა მრევს ჭკვიდან,
გულზედ ცეცხლს მიდებს, გონებას მირყევს!

ასლან. ძნელი საქმეა, მაგრამა დაო,
ნურას იჯავრებ, ნუ დაეცემი...
იმის მაგივრად ჩვენ დაძმანი ვართ,
და-ძმურად ვიყვნეთ, ვიცხოვროთ ტკბილად!..

ნინო. დიახ, დაძმანი, რომელნიც შევრცხვით,
თავი მოგვეჭრა მთელს ქვეყანაზედ!..
შევრცხვით ღვთისა და ხალხის წინაშე!

ასლან. რა ვუყოთ, დაო! იმიტომ შევცდით,
რომ არ ვიცნობდით ჩვენ ერთმანეთსა...
ხალხში რად შევრცხვით, ღმერთს რით შევცოდეთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო. ეგ მართალია, მხოლოდ სიტყვითა
ღვთის წინ ერთმანეთს მივეცით ფიცი,
მაგრამ კი, ძმაო, ხალხი სხვას იტყვის,
სულ სხვა ნაირის თვალით, შეჰხედავს...
არა, არც ღმერთი შეგვინდობს ამას;
შევცოდეთ უფალს, სასჯელი გველის!..
რომ მაგონდება ჩვენი პირობა,
გული მიკვდება და ტვინი მეწვის;
ტუჩებზედ თითქოს ცეცხლი მედება
იმ შეხებისგან პირობის უკან...
არა, მეტია ჩემთვის სიცოცხლე,
მე ვერ ავიტან ამდენს ტანჯვასა!..

ასლან. რას ამბობ, დაო! ღმერთმა დაგიხსნას!
სიკვდილის ღირსი რა ჩაიდინე?
ნულარ ახსენებ სიკვდილს დაძმობას...
ხალხს რას უყურებ? იმისი აზრი
ხშირად მცდარია; მან რაც უნდა სთქვას!
ჩვენ კი ვიცხოვროთ ტკბილად დაძმურად...

ნინო. ნუ მეტყვი, ძმაო, არ შემიძლიან,
მე სასიცოცხლო პირი არა მაქვს...
შერცხვენილს დიაცს ქვეყნად ცხოვრება—
ვით გლახის კონკებს აღარ უხდება...

ასლან. ნუ ამბობ მაგას... გულს ნუ მიკოდავ... (გადაეხვევიან)
ოღონდ იცოცხლე, მხოლოდ იცოცხლე,
და რასაცა მთხოვ, მსწრაფლ შეგისრულებ...
თუ შენ იცოცხლებ, შენ მეყოლები
მოსიყვარულე ამხანაგადა,
მაშინ მეც მინდა ქვეყნად ცხოვრება,
და ის იქნება ჩემთვის სამოთხე;
თუ შენ გამშორდი, მაშინ ერთს დღესაც
აღარ ვიცოცხლებ, რა მინდა აქა?
მაშინ ჩალადაც მიღირს სულ ყველა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა დედმამას—ჩვენს მოხუცებულთ
რა პასუხს აძლევ, იმათ რაღა ქნან,
რომ ორი შვილი ერთად წაერთოთ?
არა; ნუ იზავ, ჩემო ნუგეშო,
ნუ მოუწამლავ ჩვენს მშობლებს დღესა!..

ნინო. (ტირილით) რა ვუყო, ძმაო, არ შემიძლიან...
რომ ძალიანაც მოვიწადინო,
ეგე არც ერთი არ მოვახდინო,
მაინც ვერაფერს ველარ გავხდები...
როცა გავიგე ჩვენი დაძმობა;
ჩვენი შერცხვენა—გათახსირება,
მთლად იმედები რომ გაგვიცრუვდა
და ტკბილი გრძნობა ნისლად გაიბნა,—
აბა რა მექნა? რაღას ველოდდი?
ყოფნა-სიცოცხლე მეტად მიმაჩნდა,
აღარ მინდოდა თავი ცოცხლი;
ამიტომ წაველ, ომში შევერთვი,
იმდენს ვეცადე გაბრაზებული,
რომ სასიკვდილოდ დავიჭერ, მგონი...
აი ვსუსტდები, გული მელევა...
მშვიდობით, ძმაო, შენ კი იცოცხლე...
შენ მამულისთვის სასარგებლო ხარ..
ჩვენი დედმამაც შენ გაახარე... (გადაეხვევა)

ასლან. თუ დაჭრილი ხარ, იქნებ გიშველო?..

ნინო. არა, ველარა... ტყვილილაა...
მშვიდობით ძმაო... საყვარელო ძმავ...

(მიეერდნობა ასლანს გულზედ, ისიც ნელნელა მიაწვენს ბალახიან-ზედ, თან ზედ დასტირის)

ასლან. ვაიმე დაო, დავ საყვარელო!..
ვაი ჩემს თავსა ბედუკულმართსა!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გულს მოიხვებს, წამოდგება; ჯერ გაშტერებული უყურებს და მძიმედ ამბობს:)

ამ ქვეყანაზედ ბედის ღიმილი
ცრუპენტელა და ცვალებადია;
დღეს შენ გიღიმის, სხვას უწყლავს გულსა,
ხვალ სხვას ახარებს, შენ გხუთავს სულსა!..
ცხოვრების ტრიალს არა აქვს ბოლო...
ვის ძალუძს ახსნას ეს საიდუმლო?
ნუ თუ არავის? ნუ თუ ამ ქვეყნად
ნამდვილს მიზეზებს ვერ გამოვარკვევთ?
ნუ თუ ეს ჩვენი ბნელი გონება
მისს უმთავრესს ძარღვს ვერ მიუხვდება?..
მაშ ეს ქვეყანა რა მხეცი არის,
გამოუცნობი რამ გამოცანა?!. (მტირე პაუზა)
(ბრაზშეპყრობილი) ოჰ, წყეულიმც ხარ ცხოვრების ბრუნვავ,
ქვეყნად შერცხვენილ-შეჩვენებული...
შენ ნაბიჭვარო, ჯოჯოხეთისავ
და ბილწო ბუდევ უბედურების!..
შენი ყმა არის ყოველი კაცი,
შენ ათამაშებ, როგორც კი გნებავს.
თავის ნებაზედ ვერ შეუძლიან,
მოაწყოს კაცმა ბედნიერება!
შენ გინდა იყო გაცის ბატონი,
გამწესებელი იმის საქმისა,
შენ დაბრმავებულს, დაყრუებულსა,
შენ—მოკლებულსა სამართლიანს გზას!..
მეც გინდა ვიყო შენი მონა-ყმა,
მეც შენს ქეიფზედ გინდა ვიხტუნო?..
არა, შენ მაგას ვერ შეესწრობი,
შენ ვერ მიახწევ მაგ გამარჯვებას!..
არ მინდა ვიყო შენთვისინ თოჯნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შენს ნებაზედ მათამაშებდე!..
მე მინდა ვიყო თავისუფალი,
არავის მონა, არავისი ყმა;—
და ამ ჩემს სიტყვას არ ვუღალატებ!
ხომ მოვიშორე ოსმალთ უფლება,
საჩერჩელივით რომა მხმაროობდა;
თავისუფლება მოსპობილს მამულს
ხომ დავუბრუნეთ იგი უკანვე!
თავისუფლების დროშის მჭერელსა
შენ გინდა, დამდო მე ბორკილები?!.
გინდა, შემიკრა მოქმედების გზა,
რაცა მსურს, ის მე ვერ ავისრულო?
შენ გინდა ამ მტრედს, ამ უმანკო მსხვერპლს
განმაშორო და ობლად მატარო?..
ამას—ჩემს ტკბილს დას, რომელმაც პირველ
სხივი უმანკო სიყვარულისა
და ცნობა პირად თავისუფლების
ჩემს გულში აღძრა, კაცად მაქცია?!.
არა, არ მინდა მე იქ ცხოვრება
სადაც ასეთი ძალადობაა...
სადაც კაცისა პირად უფლებას—
მისსა ღირსებას და მოქმედებას
წინ ეღობება წყეული ძალა,
რომლის დარღვევა არ შეგიძლიან!..
მაშ რაღათ მომცა ბუნებამ ნიჭი,
თავისუფლება აზრის და გრძნობის,
თუ კი ეს ყველა შემეხუთება
და ვერ მოვიხმარ, როგორც მე მინდა!?.
აქ კი შენს გულსა გონებას, სვინიდისს—
როგორც მტარვალნი ფეხით ჰქელავენ!
არა და არა! არ დავმარცხდები,
ამას არასდროს არ მოვშორდები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც ეს არის, მეც იქ ვიქნები...
ამის წამალი, აი ეს არის... (მოიგდებს შეხვეულს ჭრილობას)
რაც ერთი ბეწვა სისხლი და დამრჩა,
ისიც წავიდეს ბევრის კვალზედა...

(სუსტდება, რის გამოც ჯერ წაბარბაცდება, მერე მუხლებზედ დაეცემა)

ასლან, გამაგრდი, ნუ გეშინიან...
საყვარელო დავ, შენთან მოვდივარ,
მარტოს ვერ გტოვებ... ოჰ, თავბრუ მესხმის...
(ვედარ შეიმაგრებს თავს და შიეშვება ნინოს გვერდით)
ახ, დალუპილო, თავს ვეღარა ვძრავ...

(ამ დროს შემოდიან **სალომე, ანნა და ქალთამზე**, ეძებენ)

სალომე. (მიირბენს მკვდარს ასმალოსთან)
აი ის არის... მაგრამ მოვტყუვდი...

ქალთამზე. აგერ ორივე! ორივე ერთად... (მივდენ)

ანნა. ვაი თქვენს დედას; შვილებო, თქვენი
ხმა გამაგონეთ... აბა, მიყურეთ
თქვენს ობოლს დედას...

ასლან. (ძალიან ჩუმის ხმით) დედავ, შენა ხარ?..

ანნა. (სიხარულით) ჰო, შვილო, მე ვარ,.. მითხარი რამე...

ასლან. მშვიდობით, დედავ, ვკვდები, მშვიდობით...
მამასაც უთხარ, მშვიდობით იყოს!.. (თავდება)

ანნა. შვილო, ერთხელაც, შენ გენაცვალე
კიდევ მასმინე შენი ტკბილი ხმა...
შენი ჭირიმე... გათავდა მორჩა...

(ნინოსაც გაჭსინჯავს და ზედ დაეკონება ხან ერთს, ხან შეორეს, ჩუმათ იფუფქება)

სალომე. ჩემო შვილებო, რათ დაგვივიწყეთ?
ჩვენ—მოხუცებულთ რა პასუხს გვაძლევთ?

ქალთამზე. საყვარელო დავ და ამხანაგო!..
შემოდიან **ისკანდერ** და **გოდერძი.**

ისკანდერ. აი ჩვენები სადა ყოფილან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდერძ. ეს რა მომხდარა!..

ისკანდერ. ვაჰ, ძმაო ასლან!..

(ზედ დაეცემა, გოდერძიც მივა. მცირე ხანს უკან მოისმის გამარ-ჯვებული ჯარის სიმღერა:

მუმლი მუხასაო,
გარს ეხვევოდაო;
ჰკბენდა, სუსხავდაო,
აღუდუდებდაო;
ტანჯვას უვლენდაო,
არ ასვენებდაო;

მუხა კვნესოდაო,
თუმც არ სდრკებოდაო,
მწარე წვენითაო,
ცხარეთ მწველითაო,
მტერს იგერებდაო,
ხედვე რჩებოდაო.

მუმლი მუხასაო,
გარს ეხვევოდაო,
ვერას აკლებდაო,
ხე არ ხმებოდაო!..

მოახლოვდებიან, **ჯიმშერი** მოუძღვის, შორიახლო დადგებიან და იძახიან: „ქართველს ხალხს გაუმარჯოს!“ ფაშა ტუვედ მოუვახიათ. ჯიმშერი რომ დაინახავს შვილებს, გამოსწევს იმათკენ.

ჯიმშერ. ხალხო, შვილები მე აღარა მყავს...

(ხალხი ქუდმოხდილი ბატიკს სცემს)

გამხმარ ხესავით დავრჩი ტიალი...

(მივა და დაიჩოქებს შვილების წინ)

ანნა. მაგრამ სამშობლო განთავისუფლდა,
ეს იყოს მისთვის უკვდავი მსხვერპლი!..

(ანნა ამ სიტყვებს ამაყის შეხედულობით ამბობს, და თან შვილებ-ზედ უჩვენებს ხელით. ეგრე დარჩებიან ცოცხალი სურათივით)

ფარდა

1898 წ. 6 ნოემბერს
ქ. ბოლტავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლე ისტორია სომხეთისა

(სენ-მარტენსა, თარგმნილი ფრანგულიდგან) *)

მე აქ არ შევუდგები ბერძნებისა და რომაელ ზოგიერთ მწერლების უსაფუძვლო თქმულებათა უარყოფას შესახებ სომხის ერის დასაბამისა. [1]) ვაუწყებ მკითხველებს მხოლოდ იმას, რასაც თვითონ სომხები მოგვითხრობენ ამ საგანზე, თუმცა, ეგეც შესაძლოა, არც ისინი იყვნენ დიდად სარწმუნო. შესაძლოა ვიფიქროთ, და არც უსაფუძვლოდ, რომ თვით ზღაპრულ თქმულებებშიაც, რომელნიც არიან ნაყოფი უმეცრებისა, თუ ეროვნული თავმოყვარეობისა, აღმოჩნდნენ ძვირფასი უძველესი მართალი ცნობანი. დასაბამი სომხეთის ისტორიისა, როგორც საზოგადოთ ყველა სხვა ქვეყნებისა, არის განურკვეველი და შეიძლება ზღაპრულიც. ამ თქმულებებში დასტური არის მხოლოდ ის, რომ სომხები, როგორც აზიის ყველა ხალხები, უძველესი დროიდგან, თუ პირდაპირი ქვეშევრდომნი არა, ხელქვევითი (ვასსალი) მაინც ყოფილან ასურეთ-სპარსეთის ხელმწიფეებისა. როგორც უნდა იყოს, სომხეთის მეისტორიების თქმით, სომხეთის მამათ-მთავარი ყოფილა ვინმე ჰაიგი (ჰაოსი), ძე თაგლათისა. თაგლათი, მათის აზრით, არის იგივე თარგამოსი. ჰაოსმა, რომ ასურეთის მეფის ნებროთის მტარვალობისგან დაეღწია თავი, თითქმის ოცდა-

---

*) იხ. „მოგზაური“ № 6 და 7.

[1]) მათის თქმით სომეხნი და უმეტესი ნაწილი კავკასიის მკვიდრთა იაზონის თანამგზავრების შთამომავლობაა. მათის ფიქრით არმენიუსი მოსულა ამ ზღვაოსნებთან ერთად და დაუარსებია სომხეთის სამეფო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორის *) საუკუნით წინეთ ქრისტეს მოსვლამდი, დაუტევა თავისი მამული ბაბილონი და თავისი ურიცხვი ნათესავით დაემკვიდრა სომხეთის სამხრეთ მთებში. ნებროთი მეტად გაარისხა ჰაოსის ამ გვარმა საქციელმა. მან შეჰყარა მრავალ-რიცხოვანი ჯარი და მიუხდა ჰაოსს ახალს სამკვიდროში. ომის ბედმა უღალატა ამ შემთხვევაში ასურეთის მეფეს. ნებროთი დამარცხდა და მოიკლა დიდ შეტაკებაში ჰეზნუანის ტბის ნაპირზე. ამ ტბას ეხლა ვანის ტბას უწოდებენ. სომხები ეხლაც კი უჩვენებენ იმ ადგილს, სადაც, მათის ფიქრით, შეიმუსრა ნებროთის ძლიერება. ჰაოსმა რაკი დაამარცხა ასურეთელები და გარეკა თავისი სამკვიდროდგან, მთელი დანარჩენი თვისი სიცოცხლე შესწირა იმ ქვეყნის კეთილდღეობას, რომელიც შეიქნა მისთვის ახალ სამშობლოდ. აქ საბოლოოდ დაამკვიდრა მან თვისი ურიცხვი ნათესაობა, დააფუძნა მრავალი ქალაქები და ხანგრძლივის მეფობის შემდეგ სამეფო თვისი გადასცა თავისს შვილს არმენაგს. ამანაც მიუჩინა თავისს ძმებს სომხეთის სხვა და სხვა კუთხეებში მათი წილხდომილი ფარდი და სამკვიდროები. სომხეთის მრავალი კეთილშობილები გვარწმუნებენ, რომ ვითომც იგინი არმენაგით ჰაოსის პირდაპირ შთამომავლობას ეკუთვნიან. არამმა, არმენაგის მეხუთე მემკვიდრემ, დიდად ისახელა თავი ჰაოსის შთამომავლობაში. მისი სახელით ქვეყანას, ჰაოსის ნათესავით დასახლებულს, უცხოელებმა დაარქვეს „არმენია". არამმა განდევნა თავისს სამეფოდგან მეზობელი ერები, რომელნიც ხშირი თავდასხმით მოსვენებას არ აძლევდნენ სომხეთს, და შერეკა ისინი ბუნებრივს საზღვრებში. დაამარცხა მიდიის მეფე ნიუქარ-მატესი და დატყვევებული მოიყვანა თა-

*) ეგრედ წოდებული ვანის ლურსმული წარწერები, რომლებიც უკანასკნელს წლებში მრავლად აღმოჩინეს სომხეთში, უარს ჰყოფენ სომხების ასეთს სიძველეს. მათი დასახლება სომხეთში ამ წარწერების ჩვენებით მოხდა არა ადრე შვიდასი (და არა ორი ათასი!) წლის წინ ქრისტეს მოსვლამდე. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისს სატახტო ქალაქ არმავირში. ჩრდილო ასურეთში დაიპყრა პარშამის სამეფო; შევიდა იარაღით მცირე აზიაში, დაარსა აქ ქალაქი მაჟაქ, ანუ მაზაკა, ბოლოს კესარე-კაპპადოკიასად წოდებული და შიგ დააფუძნა სომხების ახალშენი. სომხეთის მეისტორიეთა თქმით არამი თავისი ძლევა-მოსილობით მთელს აზიაში დიდად საშიში შეიქნა. ამის გამო ასურეთის მეფემ ნინმა ის გაიხადა მოკავშირედ და დაუთმო მას პირველი ადგილი თავისს შემდეგ მთელს აზიაში. არამმა გადასცა სამეფო თავისს შვილს არას, მშვენიერად წოდებულს. არას მოუხდა ფიცხელი ომი ასურეთის სახელგანთქმულ მეფე სემირამიდასთან სომხეთის თავისუფლების დასაცველად და ვაჟკაცურად მოკვდა იმ ბრძოლაში. წინედ სემირამიდა არას სიმშვენიერით მოიხიბლა და მოინდომა მასთან შეუღლება, მაგრამ, რაკი მისგან ცივი უარი მიიღო, იძია შური და დაიპყრო მისი სამეფო. არას დამარცხების და სიკვდილის შემდეგ სემირამიდა გაბატონდა მთელს სომხეთში. აქ ვანის ტბის ნაპირზე მან დაარსა ვეებართელა ქალაქი, შეამკო იგი დიდის და მშვენიერის ძეგლებით, რომელთა ნანგრევები ახლაც კი სჩანან და უწოდა სახელად შამირამაგერდ. ჩვენს დროში ამ ქალაქს ვანი ჰქვია. სემირამიდამ ბაბილონს დაპრუნების დროს სომხეთის მართვა მიანდო არას შვილს ვარტოსს, რომელიც ბოლოს მამის სახელს ატარებდა. ვარტოსმა ალმართა აჯანყების დროშა სემირამიდას წინააღმდეგ და მოკვდა ბრძოლის ველზე, მსგავსად მამისა, სომხეთისათვის თავდადებული. სემირამიდას ძემ და მემკვიდრემ ნინიას-ზამუსმა სომხეთის მმართველად დაადგინა ვარტოსის ძე ანუშივანი, რომელიც უბრალო მმართველი იყო ასურეთის მეფეებისაგან განწესებული. ამ მდგომარეობაში იყო სომხეთი, სანამ ტახტზე არ ავიდა ბარჯირი, ვარტოსის ძე. მოსე ხორენელის თქმით ეს იყო მე-36 მეფე სომხეთისა ჰაოსიდგან. ბარჯირი შეუკავშირდა მიდიის მმართველს ვარპაგს, ბერძნების არბაცესს, ბაბილონისას ბელეზისს და მრავალს სხვას. ბოლოს მოკავშირენი ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჯანყდნენ ასურეთის მეფის სარდანაპალის წინააღმდეგ, ჩამოაგდეს ტახტიდგან და მოსპეს მისი ხელმწიფება. ამის შემდეგ უმთავრესი მოქმედი პირები გამეფდნენ თავ-თავის სამკვიდროში, განაგებდნენ სამეფოს დამოუკიდებლად და ბოლოს გადასცეს თვის ღირსება თვისს მემკვიდრეებს. ბაროირმა გადასცა მეფობა თავისს შვილს ჭრაჩეს. ამ მეფის დროს, როგორც სომხეთის მეისტორიენი მოგვითხრობენ, დამკვიდრდა სომხეთში ბაგრატიონების გავლენიანი გვარი. გვარწმუნებენ, ვითომც ბაგრატიონები არიან ურიის შთამომავალნი. ეს ურია მოუყვანია ტყვედ ბაბილონში ნაბუქოდოსორს; აქ მან მოუპოვა თავისუფლება სომხეთის მეფემ ჭრაჩემ, რომელმაც მისცა მას დიდი თანამდებობა თვისს კარზე. შეიძლება ეს თქმულება ზღაპარი იყოს, მაგრამ ძლიერ ძველი კია. ამ თქმულებას ვპოულობთ ჩვენ ხორენელის სომხეთის ისტორიაში. მაინც და მაინც არც დიდად გასაკვირველია ბაგრატიონების ებრაელობა. ებრაელები ბაბილონის ტყვეობიდგან დაწყებული ძლიერ ადრე ქრისტეს წინეთ გაფანტულნი იყვნენ აღმოსავლეთის სხვა და სხვა კუთხეებში; სხვათა შორის ძლიერ ბლომად ცხოვრებდნენ ისინი სომხეთშიაც. სომხეთის დიდებულთა შორის მეოთხე საუკუნიდგან და უფრო ადრეც ბაგრატიონის გვარის წარმომადგენელთ შესამჩნევი ადგილი ეკავათ. ბოლოს კი მეცხრე საუკუნის ნახევარში ქრისტეს აქეთ ბაგრატიონები გამეფდნენ სომხეთს და საქართველოში. ჭრაჩეს მემკვიდრეთა შორის ყველაზედ მეტი სახელოვანი იყო ტიგრან ან დიკრან, ეროვან 1-ის შვილი, მერვე მეფე ბაროირიდამ. ტიგრანი ბუნებით უხვად იყო დაჯილდოებული მაღალის თვისებებით; მან დაუბრუნა სომხეთს ადრინდელი ძლიერება, გასწია შორს სომხეთის საზღვრები და პირველმა გააცნო უცხოელებს სომხების სახელი. საკმაოდ გაძლიერებულმა ტიგრანმა აღმოუჩინა შემწეობა კიროსს მიდიის მეფის აიტიაგის წინააღმდეგ. აიტიაგი უნდა იყოს ბერძნების იგივე ასტიაგი. ქსენოფონტი თვისს „კირო-პედია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში“ დაწვრილებით მოგვითხრობს თუ რა დიდი ამაგი დასდო ამ შემთხვევაში ტიგრანმა კიროსს. შეერთებულმა ძალამ გაიმარჯვა. ტიგრანმა ასტიაგი თავის ხელით მოჰკლა შეტაკებაში. ეს თქმულება არ ეთანხმება იმას, რასაც მოგვითხრობენ შესახებ ასტიაგის სიცოცხლისა ქსენოფონტე, ჰეროდოტე და მრავალი სხვა ძველი დროის მწერლები. უკანასკნელნი ერთხმივ გვარწმუნებენ, რომ ასტიაგი შემდეგ მისი სამეფოს დამხობისა კიდევ ცოცხლობდა. ასტიაგთან ერთად სამუდამოდ მოისპო მიდიის სახელმწიფო. შემდეგ ამ ღირს სახსოვარი საქმეებისა ტიგრანი დაბრუნდა სომხეთში, სადაც მოიყვანა მიდიელთ ურიცხვი ტყვე და სხვათა შორის ასტიაგის ნათესავებიც. ესენი ტიგრანმა დაასახლა მდინარე არაქსის სამხრეთ ნაპირზე ქალაქ ნახჭევანთან ახლო. ამ ტყვეთა შთამომავლობა ძლიერ გამრავლდა და ბოლოს დაარსეს მურაცენის სამთავრო, რომელიც გაუქმდა მეორე საუკუნის ნახევარში ქრისტეს აქეთ *). იმავე დროს ტიგრანმა სამხრეთ სომხეთში მდინარე ტიგრის ნაპირად ააშენა დიდი ქალაქი და უწოდა ტიგრანაგერდ (ახლანდელი ამიდი). ეს ქალაქი ტიგრანმა აჩუქა თავისს დას ტიგრანუხს, ასტიაგის ქვრივს და მასვე მიანდო მართვა მახლობელი ქვეყნებისა. ტიგრანის შემდეგ გამეფდა შვილი მისი ვაჭაქი. როგორც სჩანს, ვაჭაქმა ძლიერ ისახელა თავი სიმამაცით და დიდი საქმეებით, ვინაიდგან შემდეგში ღმერთთა შორის შეირიცხა. მას აღიარებდნენ ძლიერების ღმერთად და იწოდებოდა სომხების ჰერკულესად. ძველი სომხების მგოსნებისათვის ვაჭაქი შეიქმნა გმირად მათის სიმღერებისა. მისი მემკვიდრენი მართავდენ სომხეთს სპარსეთის

*) სომხეთში დამკვიდრებული ასტიაგის ნათესავობა იწოდებოდა ვიშაბაწუნებად, ე. ი. ტომი ვეშაპისა. ეს სახელ-წოდება მიუღიათ მათ მიდიის მეფისგან, რომელიც ძველ სპარსულად იწოდებოდა „აიდაჰაკ“-ად, რაიცა ნიშნავს ვეშაპს. მოსე ხორენელის სხვა და სხვა ამბები ასტიაგის შესახებ ძლიერ ემსგავსებიან სპარსელ მოლექსეთა და მწერალთ ზღაპრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფეების ზეხელმწიფების ქვეშ. უკანასკნელი მათ შორის იყო ვაჩე, ძე ვანისა. ეს მოჰკლეს ალექსანდრე მაკედონელის სარდლებმა ომში. თვითონ ალექსანდრე მაკედონელი სომხეთში არ შესულა; მან მხოლოდ თავისი სარდლები გაალაშქრა. ვაჩესთან ერთად მოისპო ჰაოსიანთ სამეფო გვარი, რომლის წარმომადგენელნი თითქმის თვრამეტ საუკუნეს განაგებდნენ სომხეთს, ხან როგორც სრულიად დამოუკიდებელი მეფენი და ხან კი როგორც ვასსალნი (ყმანი) ასურეთ სპარსეთ ხელმწიფეებისა.

მ. ჩოგოგიძე.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლომონ ლეონიძე

(შემდეგი *)

ქალაქის აოხრების და განახლების შემდეგ გავიდა სულ ოთხი-ხუთი თვე და მეფე ერეკლეს მრავალთ დიდებულთ დაუწყეს რჩევა სამეფოს შეერთების და დამორჩილებისათვის. მეფე მოუძლურებული იყო და მოხუცებული. იგი კარგად ხედავდა ქვეყნის უბედურებას, შვილების და შვილი-შვილების აღრევას, შინაურ და გარეულ მტერს. მოხდა სამეფოკრება და თათბირი, რომლის დროს გადაწყდა ქვეყნის დაკავშირება. 1796 წ. მარტის თვიდამ კაცები უნდა წასულიყვნენ და საქმე სამი თვის განმავლობაში გათავებულიყო, მეფობის ხანა დასრულებულიყო. მსაჯულმა მოახსენა ერეკლეს შემდეგი: ჩვენ წინეთაც მოგვიხსენებია და ახლაც განგიმეორებთ, მეფეო, რომ საქართველოს ერს არაფერი აქვს გასაჭირი, თუ კი მათ ერთმანეთში ერთობა ექმნებათ, თქვენ მხოლოდ ქართველთ ერთობისათვის იზრუნეთ, და გაფიცებთ თეიმურაზის საფლავს, რომ მაშინ ჩვენ დიდის ძალით ავმხედრდებით და ქვეყანას გავამაგრებთ.

მეფემ რჩევა შეისმინა და დიდებულთ კრების ჰაზრი უარ ჰყო. დიდებულთ იწყინეს ეს, ლეონიძე ქვეყანას ღუპავსო, მან დაღუპა საქართველო, სპარსნი კვლავაც ემზადებიან გამოლაშქრებას, მოვლენ და მთლად აგვიკლებენო, ჩვენ უსხვავოთ ვეღარ გავსძლებთო, შეძლება არ გვაქვს, სამეფო მთლად აკლებულიაო. მეფე ვერ გადიბირეს თავისკენ, რადგანაც მათ წინ აღუდგებოდა ბრძენი ს. მსაჯული. დიდ-

*) იხ. „მოგზაური“ №№ 8 და 9.

ბულთ ჯავრი მოსდიოდათ და მოახსენეს მეფე ერეკლეს შემდეგი: „სოლომონ მსაჯული ქვეყნისა და თქვენს სიყვარულში თავს იჩენს. მეფეო, თქვენ საკმარის გაჭირვებაში ბრძანდებით და ეგ თუ თქვენი ერთგულია, სთხოვეთ მას რამდენიმე ასი თუმანი გასესხოს, რომ თფილისში სახლები განაახლოთო“. აუწყეს, რომ ს. ლეონიძეს 2000 თუმანზე მეტი ნაღდი ფული აქვს შენახულიო, და ბევრი სხვა ჭორებიც ასმინეს. ერეკლე მეფე მართლაც 500 თუ 600 თუმანს დაესესხა ლეონიძეს, ამან უარი უთხრა, არ მაქვსო. ამით ისარგებლეს სხვა დიდებულებმა და მეფეს დაასმინეს ცილის-წამება ლეონიძეზე და ქვეყნის ღალატი.

მეფე გადიბირეს თავისკენ, სოლომონს და ერეკლეს შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდა, საქმე იქამდის მივიდა, რომ ერეკლე მეფემ 1796 წ. ს. ლეონიძეს მსაჯულობა ჩამოართვა, გასდევნა და წაართვა ყველა ის მამულები, რაც ლეონიძეს მსაჯულობის დროს შეეძინა. ყველა ეს მოხდა ქართველთ დიდებულთ მეოხებით. გუშინ და გუშინწინ თუ ერეკლე მეფე და მისი მსაჯული ბრძნულად და გულმტკივნეულად თათბირობდნენ ქვეყნის საქმეებზე და ზრუნავდნენ, დღეს ესენი შინაურ მტრების მეოხებით, ერთმანეთის მტრებად გადაიქცნენ და აღარ იცოდნენ რა ექმნათ. მაგრამ ბრძენმა სოლომონმა მეფის მტრობას რისხვით არ დაუწყო მზერა. იმან იცოდა კარგად, რომ ამაში ქართველთ დიდებულები არიან დამნაშავეო და მიტომ მან მეფის წინაშე გამართლება დაიწყო, სამართალი ითხოვა. მეფემ შეისმინა თხოვნა სოლომონისა და გამოძიება დაიწყო; დადგა 1798 წელი. მეფე ერეკლე ავად გახდა. ლეონიძე კვლავინდებურათ მივიდოდა მეფესთან და ქვეყნისათვის დიდ გულის ტკივილს აუწყებდა, მის მეფობას პატივს სცემდა, ჰგმობდა შურიან პირთ ამბოხებას, ენაობას და ლიქვნას, აუწყებდა თავის სიმართლეს, არაფერში დანაშაულობას და სხვანი. რაც ხანი გადიოდა, მით ერეკლე უფრო სუსტდებოდა, ს. ლეონიძე ატყობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისუსტეს და დიდად მეცადინობდა მაზე, რომ მეფეს დაუმტკიცო ჩემი ერთგულობა, ქვეყნის სიყვარული და იმ პირების ღალატიო, ვინც ჩვენ შორის მტრობა ჩამოაგდო, ერეკლე მეფეს, რომ ჩემი ჯავრი გაჰყვეს ეს არ შეიძლებაო.— როგორ, მეფე ერეკლე, უზომოდ პატივსა მცემდა, ძმა და შვილივით მიმზერდა, მეც ისევე ვუმზერდი მას, და ბოლოს კი რა მოხდა ჩვენ შორის, რომ მეფის წინაშე მე საქართველოს მტრად მაღიარესო! თუ კი მეფისაგან ჩემ გვარად პატივცემულნი კაცებიც საქართველოს მტრებად იქნებიან მიღებულნი, ქვეყანას რაღა ეშველებაო. მაშინ ქვეყნის დასასრული და დაღუპვა იქმნებაო. ასე ფიქრობდა ლეონიძე და ასევე მოახსენებდა მეფეს და შეწყალებას ამუდარებდა.

მეფე დარწმუნდა მსაჯულის სიმართლეში და სხვათა დიდებულთ სიმტყუნეზე და აღუთქვა მას მამულების და მსაჯულების დაბრუნება. მსაჯულობა მალე დაუბრუნეს და ახლა მამულებზე მიდგა ჯერი, მაგრამ სიკვდილის გამო ერეკლე მეფემ ვეღარ მოასწრო მამულების დაბრუნება. სიკვდილის წინედ, მეფე ერეკლემ დაიბარა გიორგი და უთხრა ფიცით, რომ მსაჯულს მსაჯულობა არ ჩამოერთვასო და გარდა ამისა, ის მამულებიც დაუბრუნდესო, რომელიც მე წავართვი და შენმა ძემ დავითმა დაიჩემაო. მეფე ერეკლემ გიორგის სთხოვა სოლომონის დაახლოვება. მეფე გიორგიმ ფიცით აღუთქვა, მსაჯულად დავსტოვებ და მამულებსაც დავუბრუნებო. გარდაიცვალა მეფე ერეკლე. ს. მსაჯულს თუმც მამულების მიღების იმედი გადაუწყდა და უკმაყოფილოც იყო მაზე, რომ მეფე ერეკლემ ვერ მოასწრო მამულების დაბრუნება მისთვის, იგი ერეკლეზე საყვედურს მაინც არასოდეს არ ამბობდა და ისევ გიორგის ყვედრიდა, და სულ ამას და მისს სახლიკაცებს აბრალებდა, რომ ერეკლემ ცილი დამწამა ქვეყნის გულშეუტკივრობაზე და ღალატზე, ეს სულ გიორგის მომხრეების ბრალიაო. მე სიმართლით ვითხოვ მამულების დაბრუნებას და ვნახოთ ვინ გამართლდებაო. მტრის

წინაშე თავი არ მოიხარა იმან და ერეკლე მეფის გარდაცვალების გამო სთქვა გაფი *), რადგანაც ამას მელექსეობა ადრიდგანვე ჰქონდა შესწავლილი. „გაფი“ გავრცელდა თბილისის ხალხში. გაფში იქებოდა მკვდარი მეფე ერეკლე და იკიცხებოდა გიორგი. ლექსს გადასწერდნენ ერეკლეს ძენი, ნამეტურ დარეჯან დედოფალის მოამხრენი და ავრცელებდნენ ხალხში. საქმე იქამდის მივიდა, რომ ამ ლექსს თბილისის ქუჩებზედაც კი აკრავდნენ აქა-იქ. გიორგი მეფეს მოხსენდა მსაჯულის უთანხმოება და საქციელი. ხმა არ ამოიღო, მალე მეფის დასაფლავება იქმნა და მცხეთის ტაძარში სოლ. ლეონიძემ სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც მრავალთაგან იქმნა მოწონებული. დასაფლავების შემდეგ გიორგი მეფემ იხმო თვითონ ლეონიძე, გაუმართა სამეფო საქმეების გამო რჩევა და საუბარი, ყოველივე გულმართლად აუწყა, და სთხოვა მტერობისა და კიცხვის დავიწყება, ზრუნვა მისს გამეფებისას და მეფობის განმტკიცებისათვის. ლეონიძეს დიდად მოეწონა გიორგის განზრახვა, მასთან დაახლოვება, სიტკბო და ქვეყნისათვის ერთგულად ზრუნვა, თორემ მეფობა დაეცემაო, გარეშემო დიდი ძალა მტრები ახვევია ერსაო. იმან ფიცით აღუთქვა გიორგის, მტერობის და კიცხვის მოსპობა, ქვეყნის საქმე ვერ აიტანს ამასაო. ჩვენ უნდა დავივიწყოთ ერთმანეთის მტრობა ქვეყნის სიყვარულის გამო და ერთსულად ვმართოთ ქვეყანაო. გიორგისაც ეს უნდოდა, ასეთ უძლურ პირისათვის რიგიანი კაცების დაახლოვება იყო საჭირო, შეერთებულის ძალით საქმეების მართვა და მშვიდობის დამყარება. გიორგიმ აღუთქვა სოლომონს დახმარება და პატივი, ფიცით არწმუნა მსაჯული, რომ შენის მამულების წართმევაში მე დანაშაული არ მიმიძღვის, ეგ პირდაპირ ერეკლე მეფის მეგობრების ბრალიაო. პირველ დამეგობრებისათანავე გიორგი მეფემ სოლომონ ლეონიძეს ბევრი რამ საჩუქრები უბოძა და

*) გაფი არის რვა-მარცვლოვანი და ხუთ-ტაეპოვანი ლექსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვათაშორის საკაბე მაუდისა, და საახალუხე ფარჩისა. ლეონიძე ისე გაკვირვებულ იქმნა გიორგის ასეთის საქციელით, რომ იმან ლექსიც სთქვა ამაზე, რომელიც ასე დაიწყება:

„ვისთვისაც ვსწერე, ის მე მტერად მომექცა,
ვინცა ვლანძღე ის მეგობრად მომექცა...

ამ ლექსმა ჩვენამდის ვერ მოაღწია მთელად, მაგრამ იმ დროს კი მალე მოფენილა ხალხში და თბილისის ქუჩებში ხალხს დაუწყვია მღერა. ს. ლეონიძის გიორგი მეფესთან დაახლოვებას და შერიგებას დიდად სამწუხარო თვალით უყურებდა დარეჯან დედოფალი და აგრეთვე სწყინდათ იულონს და ამის მომხრეებს. ამის გამო საქმე ხელახლა აირია. ვინც გუშინ-წინ ლეონიძეს მეგობრობდა, დღეს მათ ზურგი შეაქციეს ამას და მტრობა დაუწყეს. ამ მტრობის დაწყებას მოსდევდა ქვეყნის ზარალი, ბატონიშვილების არევ-დარევა და ბოლოს ვინ იცის რა არ მოხდებოდა. ამიტომ შორსმჭვრეტელი ს. ლეონიძე დარეჯან დედოფალს ისევ სიტყბოთი მოექცა. 1798 წლის ბოლომდე რამდენჯერმე იყო დედოფალთან და დადინჯებას და სიწყნარეს სთხოვდა, თორემ ქვეყანა დაიღუპებაო. მაგრამ დარეჯან დედოფალის განხეთქილება იმ ზომამდე ავიდა, რომ უკანასკნელ გიორგი მეფემ მას მამულები და სახლ-კარი წაართო და, თითქმის გააგდო, საცხოვრებლად ავლაბარში ფერისცვალების მონასტერი მიუჩინა. საქმე საშინლად აირია. დედოფალი დარეჯანი გიორგი მეფეს მტრობდა, დავით ბატონიშვილს, იოანეს და სხვა ბატონიშვილებს; გიორგისვე მტრობდნენ თვისივე ძმები და ძმის-წულები, მტრობდნენ აგრეთვე თავისი შვილები და სხვანი. ასევე უმზერდა და მტრობდა მათ გიორგი მეფე. ბატონიშვილის ოჯახები ორ დასად გაიყო, ერთნი გიორგის მომხრენი იყვნენ და მეორენი დარეჯან დედოფლისა და იულონისა. ერთობა საშინლად დაირღვა. მრავალთ ღალადება ფუჭად იქცა. ერეკლე მეფის სიკვდილის შემდეგ გიორგის გამეფება გახდა ქართველთა დარღვევის საფუძვლად და ქვეყ-

ნის დაღუპვად. შორს-მჭვრეტელი ლეონიძე კარგად გრძნობდა ქვეყნის დაღუპვის დასაწყისს, ქვეყნის დაფარვის საქმეები ამან გულიდამ გადიყარა, გული გაირეკხა, ყველაფერს განშორდა და 1799 წლის დასაწყისს გიორგი მეფეს მამულების დაბრუნება სთხოვა. გიორგიმ პირობა მისცა, რომ როგორც გავათავებ მეფობის საქმეებს და ყოველისფერს სისრულეში მოვიყვანო, მაშინადვე მამულებს ჩაგაბარებო.

ამის შემდეგ სოლომონი განშორებით ცხოვრებდა და იმ დროის ქართველთ დარღვეულ აღშფოთებას გულდამწვარი და თვალცრემლიანი უმზერდა. მაინც გულმა ვერ მოუთმინა და მალე კვლავ ჩაერია სამეფო საქმეებში. ლეონიძე, ხედავდა რა, რომ გიორგი მეფე უძლურობის გამო სამეფოს დაღუპავს, ამიტომ ის პირდაპირ მიემხრო გიორგის ძეს დავითს, საქართველოს ტახტის მემკვიდრეს. მასთან განაახლა მტკიცე მეგობრობა, რომელიც კანონიერად მიაჩნდა მას და ყველასაც იმას ასმენდა და აუწყებდა, რომ, ბატონებო, ჩვენ ყველანი დავითს მივემხროთ, იმას მივსცეთ მხარი, ძალა, ის არის ტახტის მემკვიდრე და ის გავამეფოთო. გიორგის მეფობა არ ძალუძს, დავითიც ხომ მისი უფროსი ძეა, დუმილი აღარ გვმართებს, ქვეყნის საქმეს სწრაფად მოუაროთ, თორემ ყველაფერი დაემხობაო.

ამის სიტყვამ ბევრი მტერი დააყუჩა, ბევრი აღშფოთებული ქართველი დაუმეგობრა დავითს და საქმეს აგვარებდა, მაგრამ გიორგის ძმებისა და ნამეტურ დარეჯან დედოფლის წინაშე კი ვერას აწყობდა. მსაჯულის დაახლოვება დავითთან გახდა დარეჯან დედოფლის და ამის მომხრეების ამბოხების მიზეზად. ამათ ჰყვედრეს სოლომონს, შენ მეფე ერეკლეს ანდერძს არღვევ, გიორგის შემდეგ დავითის მეფობას ჰკერძამო! ლეონიძემ აუწყა დედოფალს კანონი და რიგი, აბა სად გაგონილა და ვის უნახავსო, რომ ძმებმა მიიღონ მეფობა და არა უფროსმა შვილმაო... განსაკუთრებით ძლიერ ჰყვედრიდა დარეჯანს: „შენ ხარ მიზეზი აღშფოთების, შენ ღუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პავ ქვეყანას, შენ არიე მეფე ერეკლე, შენ დალუპე მისი ოჯახი, შენთვის არც სამართალი არის, არც მოთმენა, არც დუმილი, არც სიწყნარე, რასა ჰგავს ეს, ვის ებრძვი, რისთვის, რათა, რად რევ ბატონიშვილებს, რად სთესავ განხეთქილებას და მტერობას, რად უსმენ სიტყვას ოსეფას, რით ვერ გაიგე და განიხილე საქმის გარემოება, შენი გერი შენ მამულებს დაგიბრუნებს, მეფობა დავითს ერგება, მემკვიდრე ის არის და არა იულონი“ და სხვ.

იულონი საშინლად გაცხარდა ამაზე, სოლომონს გადაეკიდა, იმათში დაუსრულებელი მტრობა ჩამოვარდა და იულონი ყოველთვის სდევნიდა მას. ამას შინაური განხეთქილება მოჰყვა, სოლომონ ლეონიძე ამ განხეთქილების მოსპობას მიეცა, ეს აღარც მსაჯულობდა და აღარც იწოდებოდა მსაჯულად. ამის ერთად-ერთი იმედი დავითის გამეფება იყო, მის გაძლიერება, ძალის შეკრება და მით დამხობა სამეფო მტრებისა, ერთობის ჩამოგდება, მეფობის შენახვა. სხვა რამ მეცადინეობა და ძალა უბრალოდ მიაჩნდა იმ ჟამად. დავითის რიგიანი მეფობა თუ იხსნის საქართველოს, თორემ სხვა ხსნა აღარ არისო. დავით ბატონიშვილმა ს. ლეონიძის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით იცოდა, ამიტომ იგი ჯეროვან პატივს სცემდა და მადლობას უხდიდა ქვეყნის ერთგულობის გამო. გიორგი მეფეს ავად-მყოფობაც შეეპარა, ნელ-ნელა იწყო მისუსტება. დარეჯან დედოფალმა ძალი მოიცვა, აშკარად მტრობდა გიორგი მეფეს და ასმენდა, რომ შენს შემდეგ მეფობა იულონს ერგებაო.

გიორგი აღშფოთდა, ამან რუსეთში კაცები გაგზავნა და საქართველოს შეერთებას სთხოვდა. მალე რუსეთიდამ თანხმობის წერილი მოვიდა და მასთანავე ჯარი და რამდენიმე სხვა მოწინავე სამხედრო კაცნი. ესენი თბილისში სცხოვრებდნენ თავიანთის ხარჯით და მალე ლაპარაკიც გაახშირეს შეერთებაზე. რაც ხანი გადიოდა, მით გიორგი მეფეს სენი უძლიერდებოდა. ს. ლეონიძე გვერდს ახლდა და რჩევას უწერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, რჩევა უყურადღებოდ არ რჩებოდა, მაგრამ გიორგის გულიდამა ჰქონდა საქართველო ამოღებული, ეს ქართველთ დაწყნარებას და დამშვიდებას სხვათა ძალით ფიქრობდა, სხვა ძალი არ მაქვს, ედინაცკალს ვერ მოვერევიო. მეფე ველარას აწყობდა, თბილისში უცხონი მრავლდებოდნენ, მეფის ძმანიც ერთმანეთში ირეოდნენ, მთელი ქვეყანა აირ-დაირია, აქ კაცი კაცს ველარ სცნობდა. ს. ლეონიძემ ნახა გიორგის მისუსტება და კვლავ ავედრა მეფეს თავისი მამულების დაბრუნება. გიორგიმ ავადმყოფობის გამო ველარ მოახერხა დაბრუნება, დაიბარა შვილი დავითი და სთხოვა, რომ ს. ლეონიძეს თავისი მამულები დაუბრუნე და მასთან პატივის ცემაც არ მოაკლოვო, ეგ დიდი ერთგულია ქვეყნისა, დიდ ერთგულებას მიწევდა, კარგ რჩევას და დარიგებას მაძლევდა, მტრებს არ აჰყვეო. სოლომონის ღირსება გიორგი მეფემ საჯაროთაც აღიარა. დავითმა შეისმინა მამის თხოვნა და სოლომონს იმ დღესვე 500 მან. დაუნიშნა მისაღებად, ვიდრე მამულებს ჩაიბარებო, მაგრამ სოლომონს ვერც დავითის ხელით ეღირსა მამულების დაბრუნება.

მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ ქართველობა სამ დასად გაიყო: ერთნი ითხოვდნენ შეერთებას, მეორენი დავითის გამეფებას და მესამენი იულონისას ანუ დარეჯან დედოფლისას. სოლომონ ლეონიძე ეკუთნოდა მეორე დასს. როგორც ბრძენი და ქვეყნისათვის მეტად გულშემატკივარი, იგი მიეცა დიდ ზრუნვას და შრომას. ამის თაოსნობით სამეფო სახლში კრება მოხდა, კრებაზე 40 კაცზე მეტი დაესწრო. აქ საუბარი ჰქონდათ საქართველოს შესახებ, ზოგნი იულონს ითხოვდნენ მეფედ, ზოგნი დავითსა და ზოგნი დაკავშირებას. სოლომონ ლეონიძე აღიჭურვა ძალით და წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც ახლა აქ ვერ მოგვყავს; ვიტყვით მხოლოდ, რომ სიტყვა პირდაპირ დავითისადმი იყო მიმართული.

გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ გენერალ ლაზარევმა საქართველო რუსეთთან შეკავშირებულად გამოაცხადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის იმპერატორის პავლეს წინაშე რამდენჯერმე იყო თათბირი საქართველოს შეერთებაზედ. უკანასკნელ, სამინისტროში გადაწყდა შეერთების საქმე და პავლე იმპერატორმა ინება საქართველოს მიღება იმ პირობით, როგორც გიორგი მეფისაგან იქმნა წარდგენილი. საქმის გათავების შემდეგ ქართველთ ელჩნი საქართველოში დაბრუნდნენ, თან წამოიღეს თანხმობის წერილი და მასთან რუსეთის უცხო ქვეყანათა მინისტრის გრაფ როსტოფჩინის წერილი.

მეფე გიორგი გარდაიცვალა 1800 წ. 28 დეკემბერს, ელჩები კი საქართველოში ჩამოვიდნენ 1801 წ. 11 იანვარს. ამიტომ პავლე იმპერატორის და გრაფ როსტოფჩინის წერილი შეერთების შესახებ მეფის გიორგის შვილს წარუდგინეს. ამათ განიხილეს, თანხმობაზე ხელი მოაწერეს და ამავ პირობით ელჩები რუსეთში დააბრუნეს. მეფე გიორგიმ სიკვდილის დღეს საქართველოში მყოფი რუსის გენერალი ლაზარევი დაიბარა და ასე უთხრა: „მე პავლე იმპერატორთან ადარაფერ პირობებს არ გეძებ, დასწერე წერილი მოკლედ, რომ ცოლშვილი და საქართველო ჩამიბარებია.“ გენერალმა მალე დასწერა წერილი, მეფემ ხელი მოაწერა, ბეჭედი დაასო და გენერალს მისცა; მან მაშინვე შიკრიკს ჩააბარა და რუსეთში გაგზავნა. ვიდრე საქართველოს ელჩები მივიდოდნენ, მანამ მეფე გიორგის წერილის ძალით საქართველო რუსეთთან დაკავშირებული გამოაცხადეს იმ დროის „პეტერბურგის უწყებაში“. ელჩების მოსვლას პავლე იმპერატორი დიდის პატივით აპირებდა, დანიშნულ დღისთვის იგი აკერვინებდა საქართველოს მეფეთ ტანსაცმელს და მით უნდა მიჰგებებოდა ელჩებს, ჯერეთ ამათ დააფიცებდა ერთგულობაზე და მერე საქართველოს გამოაცხადებდა შეერთებულად, და ქართველებშიაც მოხდებოდა საერთო ფიცი. მაგრამ ვერც ეს შესრულდა, რადგანაც ელჩების მისვლამდე პეტერბურგში პავლე იმპერატორიც გარდაიცვალა. შემდგომ ამის გამეფდა ალექსანდრე პირველი და ამან თავის მანიფესტით საქართველო რუსეთთან დაკავშირებულად და თბილისის გუბერნიად გამოაცხადა.

ია მარუშიძე.

(შემდეგი იქნება)

Краткое объясненіе рисунковъ и древнихъ надписей и др. болѣе важныхъ статей № 10 грузинскаго журнала „МОГЗАУРИ“.

стр.

1. Икона Божьей матери въ Кватахевскомъ монастырѣ (въ Горіиск. уѣздѣ). . . . 923.
2. Мцхета и его древности . . . . 925.
3. На Квишхетскихъ горахъ, Силовани . . 934.
4. Историч. и географ. опис. Эретіи, ингилойца Джанашвили . . . . . 937.
5. Гурія, К. Гварамадзе . . . . . 946.
6. Русудань, историч. драма, третье дѣйствіе. 955.
7. Янычаръ, историч. драма, пятое дѣйствіе (окончаніе), Д. Нахуцришвили . . . 965.
8. Исторія Арменіи, С.-Мартена, перев съ франц. М. Чогогидзе . . . . . 998.
9. Соломонъ Леонидзе, канцлеръ царя Ираклія II-го, І. Марушидзе . . . . . 1004.

Принимается подписка:

На 1902 годъ на журналъ „МОГЗАУРИ“.

Будетъ выховить по той-же программѣ съ прибавленіемъ статей по предметамъ педагогіи, сельскаго хозяйства-промышленности, гигіены-медицины и научныхъ вопросовъ.

Цѣна на годъ—5 рублей, на полгода—3 рубля. Статьи и деньги просимъ адресовать: въ Тифлисъ, Редакціи „МОГЗАУРИ“.